სპორტი

სპორტული გაზეთი პარასკევი 25 თებერვალი 2005 №41 (2364) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამისულაშვილს დნიპრომ გაუმართლა

ქართველმა კიევის დინამო დატოვა

4



ალანიაში სკანდალი მნიფდება

მეექვსე ქართველი აბრამიძეა

4



ავსტრიული სასამართლო ირაკლი ლაბაძეს ჩვენების მისაცემად იბარებს

14

ზაზა ფაჩულიას ორმაგი დუბლი!

31 წუთი 14 ქულა 12 მოხსნა

გოლის იშემია

რას უნდა ველოდოთ ქართული ფეხბურთისგან დღეს, ჩემპიონატის მეორე ეტაპის მეორე ტურში? რამდენიმე ინტრიგას. კერძოდ, მცხეთაში ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ „დინამოს“ მასპინძლობს და მიუხედავად ცამეტქულიანი ჩამორჩენისა, იმედი გვაქვს, რომ ღირსეულ ბრძოლას გაუმართავს ლიდერს. გარდა ამისა, ყურადღებას იპყრობს ზურაბ იონანიძის დაბრუნება ქუთაისის სტადიონზე... მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელის რანგში. „ტორპედო“ „ზესტაფონს“ მასპინძლობს.

და ბოლოს, საინტერესოა, შეძლებს თუ არა უმაღლესი ლიგის ათეული იმ უგოლობის დაძლევას, ერთი კვირის წინ ცუდად რომ მოგვხვდა გულზე.

ბადრი ჯიშკარიანის ფოტო

დღეს მცხეთაში ამბავი იქნება: ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ ჩემპიონობის მაძიებელ „დინამოს“ წინააღმდეგ

უეფას თასი
მეთექვსმეტედფინალი

პირველი მატჩი

ავსტრია (ავსტრია) 0:0 ბილბაო (ესპანეთი)

საპასუხო მატჩები

შალკე (გერმანია) 0:1 *შახტარი (უკრაინა)* (1:1)
დნიპრო (უკრაინა) 0:1 *პარტიზანი (სერბეთი)* (2:2)
ალკმაარი (ჰოლანდია) 2:1 ალემანია (გერმანია) (0:0)
სოშო (საფრანგეთი) 0:1 *ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)* (0:1)
ნიუკასლი (ინგლისი) 2:1 ჰერენვენი (ჰოლანდია) (2:1)
სტიაუა (რუმინეთი) 2:0(პენ.4:3) ვალენსია (ესპანეთი) (0:2)
მიდლსბრო (ინგლისი) 2:1 გრაცერი (ავსტრია) (2:2)
ბენფიკა (პორტუგალია) 1:1 *ცსკა (რუსეთი)* (0:2)
შტუტგარტი (გერმანია) 0:0(დ.დ.0:2) *პარმა (იტალია)* (0:0)
ფეიენოორდი (ჰოლანდია) 1:2 *სპორტინგი (პორტუგალია)* (1:2)
ოსერი (საფრანგეთი) 3:1 აიაქსი (ჰოლანდია) (0:1)
სარაგოსა (ესპანეთი) 2:1 ფენერბაჰჩე (თურქეთი) (1:0)
ლილი (საფრანგეთი) 2:0 ბაზელი (შვეიცარია) (0:0)
სევილია (ესპანეთი) 2:0 პანათინაიკოსი (საბერძნეთი) (0:1)
ვილიარეალი (ესპანეთი) 2:0 დინამო (უკრაინა) (0:0)

REUTERS გელ ზურკორნელიდან

„შახტართან" წაგების მერე მთელმა „შალკემ" აილტონივით თავჩახრილმა დატოვა „აუფშალკე"

როიალ ლიგა 2005

A ჯგუფი. V ტური

იურგორდენი (შვედეთი) 0:1 რუსენბორგი (ნორვეგია)
ვოლერენგა (ნორვეგია) 1:1 ესბიერგი (დანია)

B ჯგუფი. V ტური

კოპენჰაგენი (დანია) 1:0 გიოტებორგი (შვედეთი)
ტრომსიო (ნორვეგია) 2:4 ბრონდბიუ (დანია)

C ჯგუფი. V ტური

ჰალმსტადი (შვედეთი) 0:0 ბრანი (ნორვეგია)
ოდენსე (დანია) 1:2 მალმიო (შვედეთი)

Copa Toyota Libertadores '2005
ლიბერტადორესის თასი 2005

V ჯგუფი. I ტური

ოლმედო (ეკვადორი) 2:3 რივერ პლეიტი (არგენტინა)

VI ჯგუფი. II ტური

ბანფილდი (არგენტინა) 3:2 ალიანსა (პერუ)
ტიგრესი (მექსიკა) 3:1 კარაკასი (ვენესუელა)

ამხანაგური მატჩები

მექსიკა 1:1 კოლუმბია

კახა კალაძემ მანჩესტერში ერთი ტაიმი ითამაშა

„მილანმა" ჯერ მხოლოდ პირველი ტაიმი მოიგო. მეორე ნახევარი იტალიაში იქნება — ამ სიტყვებით დაიწყო გუშინ ჩვენთან საუბარი კახა კალაძემ, ვინც ოთხშაბათს „მილანთან" ერთად უმძიმესი მატჩი გადაიტანა და მანჩესტერულ „ოლდ ტრეფორდზე" ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

მოგეხსენებათ, გუშინწინ „მილანმა" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის კარდინალური ბარიჯი გადადგა — „მანჩესტერი" სტუმრად დაამარცხა. კახა კალაძემ დაცვის მარცხენა ფლანგზე სრულად ითამაშა, ხოლო მისი შემტევები კრისტიანო რონალდო და გარი ნევილი მასპინძელთა თავკაცმა მიღებული გოლისთანავე შეცვალა. რატომ? გუშინ კახამ ამ კითხვაზეც გვიპასუხა...

— მარტო ჩემი აზრი არ არის, თითქმის ყველა აღნიშნავს, რომ „მილანმა", პირველ ყოვლისა, დაცვაში თითქმის უშეცდომო თამაშით მოიგო...

— არადა, პირველ ტაიმში ნესტა მთლად დამაჯერებლად ვერ გამოიყურებოდა.

— გეთანხმები, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ასეთ მეტოქესთან, ასეთი რანგის მატჩში, თანაც სტუმრად, ერთი-ორჯერ ყველა ცდება. სამაგიეროდ, მეორე ტაიმში ნესტამ და მალდინიმ რუნი კარს არ გააკარეს.

— შენი თამაშით კმაყოფილი ხარ?

— კი, ვფიქრობ, ნორმალურად ვითამაშე. თუმც მთავარი მაინც გუნდია. „მილანმა" ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი სტუმრად დაამარცხა. თანაც, მგონი, დამსახურებულად მოვიგეთ და ვერავინ იტყვის, „მილანმა" გოლი შემთხვევით გაიტანაო. იმ ეპიზოდში კრესპო თუ ვერა, მოგვიანებით სხვა მაინც გაიტანდა.

— ალალად გვითხარი, შევჩენკოს არყოფნაში თუ ელოდით ასეთ შედეგს?

— შევჩენკო „მილანში" და ევროპაში რომ უძლიერესი ფორვარდია, ეს არაერთხელ დამტკიცებულა. ასეთი ფეხბურთელის არყოფნა, რა თქმა უნდა, დიდი დანაკლისია. თუმც „მილანმა" ისიც დაამტკიცა, რომ ერთი ფეხბურთელის გუნდი არ არის. მანჩესტერში კი, მოგების იმედით თუ არა, კარგი შედეგის მოლოდინით ნაღდად ჩავედით.

— „მილანში" როგორი განწყობაა, გუნდი უკვე მეოთხედფინალშია?

— არა, ჩვენ ჯერ პირველი ტაიმი მოვიგეთ, მეორეს მილანში ვითამაშებთ. უპირატესობა, თანაც დიდი, ჩვენ გვაქვს, მაგრამ ისიც ვიცით, რომ „მანჩესტერს" ვეთამაშებით, მეტოქეს, რომელმაც სტუმრად თამაშიც ძალიან კარგად იცის.

— რონალდო და ნევილი მარჯვენა ფლანგზე თამაშობდნენ და ფერგიუსონმა ორივე შეცვალა. არ ფიქრობ, რომ ეს შენი დამსახურებაც არის? .

— ვერ გეტყვი. „მანჩესტერის" მწვრთნელმა უკეთ იცის, რა რატომ გააკეთა. ისე კი, რონალდოს თავიდანვე ეტყობოდა, რომ ბევრს ნერვიულობდა და მის შეცვლას უფრო ადრეც ველოდი.

— პირველ ტაიმში „მილანის" შეტევებში ხშირად მონაწილეობდი, თუმც ამ დროს სწორედ შენი ფლანგიდან „მანჩესტერმა" სახიფათოდ იქით შემოგიტიათ.

— ეგ მართალია, მაგრამ ჩვენი კუთხურისას მეტოქე რომ შემოგვიტევს, მთლიანად გუნდის ბრალია. გოლის გატანაზე ვფიქრობდით და ამ დროს „მანჩესტერს" ჰქონდა საგოლე მომენტი.

— მეორე ტაიმში წინ იშვიათად ჩანდი. ეს მწვრთნელის დავალება იყო?

— რაკი პირველი ტაიმი უგოლოდ დამთავრდა, მწვრთნელმა დაცვაში მეტი ყურადღება გვთხოვა და შეტევებშიც, თუ აუცილებლობა არ ითხოვდა, აღარ ვერთვებოდი.

— სამაგიეროდ, დაცვაში თითქმის უშეცდომო იყავი.

— რა გითხრა, თქვენ განსაჯეთ.

— იყო ერთი ეპიზოდიც, როცა მასპინძლები თავიანთი საჯარიმოს მისადგომებთან დაჯარიმდნენ. დასარტყმელად კი სხვებთან ერთად, ჩვენთვის მოულოდნელად, შენც ემზადებოდი.

— სწორედ იმ პოზიციიდან, სადაც ის ჯარიმა დაინიშნა, ვარჯიშებზე რამდენიმე გოლი მაქვს გატანილი. „მანჩესტერთანაც" ან მე დავარტყამდი, ან პირლო. ყოველ შემთხვევაში, ჩემი და პირლოს ბურთთან ყოფნა მეკარისთვის მოულოდნელი უნდა ყოფილიყო.

— კვირის ბოლოს „ინტერთან" მილანური დერბი გელით, ანჩელოტის როტაციის პრინციპის გათვალისწინებით, ძირითადში აღარ გელოდოთ?

— არ ვიცი, შემადგენლობას მწვრთნელი შაბათს იტყვის, თუმც „ინტერთან" ისეთი სერიოზული და მნიშვნელოვანი შეხვედრა გვაქვს, არა მგონია, მწვრთნელმა დამასვენოს.

— „მანჩესტერთან" უმძიმესი მატჩის შემდეგ „ინტერთან" ხომ არ გაგიჭირდებათ?

— პირიქით, მგონი, „ინტერს" უფრო გაუჭირდება. თუმც დერბია და, ცხადია, ორივე გუნდისთვის რთული თამაში იქნება. „ინტერი" თუ პირველად ჩვენთან წააგებს, ამას რა აჯობებს.



კოგა ინასარიძე

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
საქართველოს XVI ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი
20 ტური

გოლის იშემია

დღეს მკურნალობა იწყება

დღეს მეორე ეტაპის მეორე ტურია და პირველ რიგში გოლებს ველით — წინა ტურის ხუთ მატჩში ოდენ ორი გოლი გავიდა და გოლების იშემია ნელ-ნელა უნდა განიკურნოს — გოლის უკმარისობა ხომ ძალიან ცუდი სენია.

დღეს მეორე ტურია და გუნდებსაც მეტი მოეთხოვებათ — შეკრებამოვლილ ფეხბურთელებს დატვირთვები შეუმცირდათ და მათგან ახლა ხარისხის გაზრდასაც ველით.

დღეს მეორე ტურია და გვაქვს უფლება, ორი მატჩი გამოვარჩიოთ — ერთი ქუთაისში, მეორე მცხეთაში — ეპიცენტრი ძველ დედაქალაქებშია...

დავით თავართქილაძე

ბაზრი კვირელაძის ფოტო

დღეს „ვიტ ჯორჯია“ — „დინამო“ და დიდი ბრძოლაც იქნება

თბილისი. 25 თებერვალი. 14 საათი. ოლიმპი

თბილისი — კოლხეთი

მსაჯები: გ. ვადაჭკორია (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ნ. რუსიშვილი; გ. დოგრაშვილი (ორივე ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ი. ჭეჟდლიშვილი

„თბილისი“ გოგიტა გოგუას და გივი ვეარცხელიის გაერთიანებარჩა, თუმც ამ შეხვედრაში მაინც ფავორიტია. წინა ტურში გოლი ვერც „თბილისმა“ გაიტანა, ვერც „კოლხეთმა“ და ახლა მათგან უფრო შედეგიან თამაშს ველით.

ვნახოთ, რა ხვითოა ლუის ცაკარიასის „თბილისი“, რეორგანიზებული, გადასხვაფერებული და კორეელი მინ ჩოით გაეგზოტიკურებული. სერგო გაბელაიას „კოლხეთი“ კი ხელწამოსაკრავი გუნდი ნამდვილად არ ჩანს, ერთობ ბრძოლისუნარიანი მეტოქეა ნებისმიერისთვის.

თბილისი. 25 თებერვალი. 15 საათი. ლოკომოტივი

ლოკომოტივი — ბათუმი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ვ. ელისაბედაშვილი (თბილისი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ე. სილაგავა

„ლოკომოტივმა“ ალეკო გოგობერიშვილი დაკარგა და საინტერესოა, ვინ იქნება გუნდის თამაშის წარმმართველი. „ლოკომოტივს“ კარგი თავდასხმა ჰყავს — მიხეილ ბობოხიძემ და ირაკლი სირბილაძემ წინა ტურშიც რიგიანად ითამაშეს, თუმც „ტორპედოს“ გოლი ვერ გაუტანეს. წინა ტურში დებიუტი ჰქონდა „ლოკომოტივის“ ბრაზილიელ შემტევ ჟეანს და ის ალბათ დღესაც ითამაშებს.

არც „ბათუმი“ ჩანს ბეჩავი გუნდი. გოლის გატანა ლევან ხომერიკმაც იცის და „დინამოდან“ გადასულმა ბორის გონჩაროვმაც, თუმც ფავორიტი ალბათ მაინც „ლოკომოტივია“.

მასპინძლებს მატჩის გამართვა საღამოს, განათებულ სტადიონზე სურდათ, მაგრამ გუნდები მხოლოდ იმაზე მორიგდნენ, რომ შეხვედრა ტურის სხვა მატჩებზე ერთი საათით გვიან დაიწყება.

ბოლნისი. 25 თებერვალი. 14 საათი. თამაზ სტეფანია

სიონი — დილა

მსაჯები: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში), ზ. ხუციშვილი; მ. მაისურაძე (ორივე თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ზ. პეტრიაშვილი

აუტსაიდერთა ეს ჯახი ვინძლო ძალიან მნიშვნელოვანი გამოდგეს — „დილამ“ თუ წააგო, ისედაც მძიმე სიტუაციას კიდევ უფრო დაიმძიმებს, ფაქტობრივად, უიმედოდ დარჩება.

ასე რომ, დაძაბულობის და ჟინის მხრივ იქნებ ბოლნისურმა მატჩმა სხვები გადაწონოს კიდეც.

მცხეთა. 25 თებერვალი. 14 საათი. არმაზი

ვიტ ჯორჯია — დინამო

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ზ. მენთეშაშვილი, მ. ელიკაშვილი; ლ. სილაგავა (სამივე თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ს. კუტივაძე

ჩემპიონი ჩემპიონობის უპირველესი ფავორიტის წინააღმდეგ — ტურის მთავარი მატჩიც ეს უნდა იყოს.

„ვიტ ჯორჯია“ „დინამოსთვის“ უხერხული მეტოქეა — ეს ბევრჯერ თქმულა და მართლაც, შარშან, მეორე ეტაპის მეორე წრეში ვიტელებმა „დინამოს“ სტუმრად 3:1 მოუგეს და ეს შეხვედრა გადამწყვეტი გამოდგა ჩემპიონობისთვის ბრძოლაში.

„ვიტ ჯორჯია“ მაშინაც კერკეტა კაკალი იყო „დინამოსთვის“, როცა მთლად ღონივრად ვერ გამოიყურებოდა. ახლა „დინამო“ ვიტელებზე ძლიერ გუნდად ითვლება, მაგრამ ეს თამამი პროგნოზის საფუძველს მაინც არ იძლევა — „ვიტ ჯორჯია“ მაინც „ვიტ ჯორჯიაა“ „დინამოსთვის“.

შეხვედრას ინტერესს ისიც სძენს, რომ გია გეგუჩაძე და ჯანი კარნევალი ერთმანეთის პირისპირ პირველად წარდგებიან.

როგორც უნდა იყოს, „დინამოს“ მეტი მოეთხოვება — წინა ტურში ბოლნისის „სიონს“ შინ ძლივს მოუგო, მანამდე კი „ზესტაფონმა“ გამოაგდო თასის მერვედფინალიდან.

მოკლედ, დღეს „დინამოს“ მხოლოდ და მხოლოდ შთამბეჭდავი თამაში მოეთხოვება. მიკროტრავმების გამო სათუოა დინამოელების, ირაკლი ზოიძისა და გია ნემსაძის თამაში.

ქუთაისი. 25 თებერვალი. 14 საათი. ტორპედო

ტორპედო — ზესტაფონი

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე; ა. კრიჭაშვილი (სამივე თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ჭელიძე

ქუთაისელებმა წინა ტურშიც შინ ითამაშეს და ერთობ უფერულადაც. ნამატჩევს „ტორპედოს“ თავკაცმა ოთარ გაბელიამ თქვა, მომდევნო შეხვედრაში „ზესტაფონს“ აუცილებლად უნდა მოუგოთო.



ზურაბ იონანიძე

გაბელიას მოტივაციას ისიც აძლიერებს, რომ „ზესტაფონმა“ „ტორპედოს“ ერთი ფეხბურთელი მეორე ეტაპის დაწყებამდე ოთხი დღით ადრე აწაპნა — მცველმა თენგიზ ჩიკვილაძემ საშუასეზონო შეკრება „ტორპედოში“ გაიარა, მაგრამ ახლა ზესტაფონელია, რამაც გაბელიას დაბალანსებული დაცვის ხაზი აურ-დაურია.

გაბელია ამბობს, საჩემპიონო გუნდი ჯერ არ ვართო, მაგრამ ვინ იცის, რა ხდება — დღევანდელი მატჩი ამ მხრივ ბევრს გადაწყვეტს.

ერთიცაა, ზესტაფონელი ზურაბ იონანიძე მშობლიური „ტორპედოს“ წინააღმდეგ ითამაშებს. მოკლედ, ქუთაისი მჭექ-ამბების მოლოდინშია.

ბომბარდირები

13-ჟელქაძე	*დინამო*
12-ეგზარელაძე	*ტორპედო*
10-ოდიკაძე	*თბილისი /დინამო*
ბობოხიძე	*ლოკომოტივი*

დინამო	19	13	3	3	41:19	42
ტორპედო	19	11	7	1	32:11	40
თბილისი	19	10	4	5	38:23	34
ვიტ ჯორჯია	19	8	5	6	30:25	29
ლოკომოტივი	19	7	8	4	25:16	29
ბათუმი	19	6	6	7	22:16	24
ზესტაფონი	19	7	1	11	17:36	22
კოლხეთი	19	5	5	9	17:23	20
სიონი	19	4	2	13	15:43	14
დილა	19	2	3	14	13:38	9

თქვენი ინტერვიუ

შოთა არველაძესთან

«რეინჯერსი» გლაზგო, შოტლანდია

რუბრიკის მეორე რესპონდენტ შოთა არველაძესთან კითხვები 25 თებერვლის ჩათვლით უნდა გამოგზავნოთ და მასთან ინტერვიუ არაუგვიანეს 1 მარტამდე გამოქვეყნდება. ერთი სიტყვით, კითხვები არ დაინანოთ, მათ ეროვნული ნაკრების მთავარმეგოლე უპასუხებს.



მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

ამისულაშვილს დნიპრომ გაუმართლა

ვალერი ამისულაშვილის ფოტო

საქართველოს ნაკრებისა და კიევის „დინამოს“ მცველი ალექსანდრე ამისულაშვილი დნიპროპეტროვსკის „დნიპროში“ გადავიდა. კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, თუმც დნიპროპეტროვსკული კლუბის პრესსამსახურის ცნობით, ეს დღეების ამბავია.

ამისულაშვილი უკვე შეუერთდა ახალ გუნდს და ვარჯიშის ჩატარებაც მოასწრო. კიეველები ჩვენებურის გაყიდვაზე ჯერაც თავს იკავებენ და „დნიპროს“ მხოლოდ იჯარაზე შეუთანხმდნენ — ამისულაშვილი „დნიპროში“ სეზონის ბოლომდე ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ ალეკოს „დნიპროში“ გადასვლაზე სამიოდ თვის წინაც ითქვა, თუმც მერე ყველაფერი მიჩუმდა. მოგვიანებით, ხარკოვის „მეტალისტის“, კიევის „არსენალის“, ოდესის „ჩერნომორეცის“ და რუსული „როსტოვის“ დაინტერესებაც გამჟავნდა, მაგრამ არც აქედან გამოვიდა რამე.

ჩემოდანზე მჯდარ ამისულაშვილს ისევ „დნიპრომ“ გაუმართლა — როგორც გავიგეთ, ჩვენებური უახლოეს დღეებში გააფორმებს კონტრაქტს და საჩემპიონატო განაცხადშიც შეიყვანენ.

ამით ამისულაშვილის უთამაშებლობას ალბათ ბოლო მოეღება. გეხსომებათ, ალეკო შარშან გადავიდა „დინამოში“, თუმც ძირითად შემადგენლობაში ერთადერთხელ, უკრაინის თასზე ითამაშა...

კახა ზალამგერიძე

ალანიაში სკანდალი მწიფდება
მეექვსე ქართველი აბრამიძეა

ვლადიკავკაზის „ალანიაში“ რაღაც სკანდალის მსგავსი იწყება. ამ კლუბს ხომ ჩახლართულობა და ქაოსი არასოდეს აკლდა, მაგრამ ჩვენ ხუთი ქართველი ფეხბურთელის ბედი გვაღელვებს — ვაითუ, ჯაბა კანკავას, დავით კვირკველიას, ლევან გვაზავას, ვიტალი დარასელიასა და ლადო ბურდულს მოახლოებული სეზონი ჩაუვარდეთ.

მაინც რა ხდება? „ალანიას“ მთავარი მწვრთნელი ბახვა თედეევი გუნდს სოჭში შეკრებაზე არ გაჰყვა. მიზეზი კი თედეევისა და კლუბის ახალ ხელმძღვანელებს შორის კონფლიქტია. თავად ბახვა კომენტარს არ აკეთებს, ხოლო „ალანიას“ გენერალური დირექტორი ალექსანდრ ალბეგოვი გაოცებულია, არ ვიცი, მწვრთნელი რატომ იქცევაო ასეო. სხვათა შორის, თედეევმა ამას წინათ გასრულებულ მარბელას შეკრებაზეც რამდენჯერმე გააცდინა ვარჯიში...

ამასობაში „ალანიას“ მეექვსე ქართველმა, ვალერი აბრამიძემ ჩააკითხა. საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი გუშინწინ სოჭში შეუერთდა გუნდს და რუსეთის პირველდივიზიონელ „ვოლგარ-გაზპრომთან“ გამართულ ტესტ-მატჩშიც (0:0) 90 წუთი ითამაშა. საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი ბოლოს გიორგი ლომაიასთან ერთად პირველდივიზიონელ „ხიმკიში“ ირჯებოდა, ერთხანს ტრავმებმაც გააწამა და ახლა კი ისევ რუსულ პრემიერლიგაში დაბრუნებას (აბრამიძე უკვე თამაშობდა მოსკოვის „სპარტაკში“) ცდილობს. მოკლედ, ვალერი „ალანიაში“ გასინჯვაზეა და არაა გამორიცხული, კონტრაქტსაც გაოჭკრას ხელი. შეგახსენებთ, რომ ოსურ კლუბში კიდევ ერთი ქართველის, გიორგი შაშიაშვილის გადასვლაც განიხილება.

„ვოლგარ-გაზპრომთან“ კი „ალანიამ“ შერეული შემადგენლობით ითამაშა. აბრამიძისა გარდა, ქართველებიდან, მხოლოდ ლევან გვაზავა გამოჩნდა — მე-15 წუთზე შევიდა მინდორზე.

ილია ნანოგაფვილი



ვალერი აბრამიძემ (№44) „ალანიას“ მიუკაკუნა

ჯერაც დელეგაციის ფოტო

ლიცენზიის რა ღირს ხარ...
ემანდ, ევროპა განზე არ დაგვრჩეს

ქართულ კლუბებს ლიცენზირებაში საქმე კვლავ შავად აქვთ. სურვილის მიუხედავად, ქუთაისის „ტორპედო“ ჯერაც ვერ აგროვებს საჭირო საბუთებს და ლიცენზიას ვერ იღებს. ამის გარეშე კი, მოგეხსენებათ, ევროტურნირებზე არავინ დაგიშვებს...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლიცენზირების კომიტეტმა გუშინ ეროვნული ნაკრების ბაზაზე პრესკონფერენცია გამართა, თუმც საუბარი არა მარტო „ტორპედოს“, არამედ, ზოგადად ქართული კლუბების სალიცენზიო პრობლემებს შეეხო. ლიცენზირების კომიტეტის ხელმძღვანელებმა გერა ხეცურიანმა, ნოდარ ჩოლარიამ და პროფლიგის გენერალურმა მდივანმა რევაზ ლორთქიფანიძემ ჩვენი სტადიონების უვარგისობასაც გაუსვეს ხაზი...

— 22-24 თებერვალს ამავე ბაზაზე ლიცენზირების მსურველ კლუბებთან სემინარები ჩავატარეთ, მათი დოკუმენტაციები განვიხილეთ. სამწუხაროდ, „ტორპედოსა“ და „ბათუმის“ წარმომადგენლები სემინარებს არ დასწრებიან. ქუთაისურ კლუბში გუშინ დანიშნეს ახალი დირექტორი და, იმედია, იგი ამ საკითხზე ჩვენთან ითანამშრომლებს, მაგრამ ძალიან საეჭვოა, „ტორპედომ“ ერთ თვეში მოასწროს ყველა საბუთის წარმოდგენა. ბოლო ვადა 31 მარტია, მერე კი ორ კვირაში ამ დოკუმენტებს უეფა განიხილავს. ჯერჯერობით „ტორპედო“ ლიცენზირების პროცესს ვერ გადის. არც „ბათუმის“ წარმომადგენელი მოვიდა სემინარებზე, ხოლო ფოთის „კოლხეთში“ ჯერაც გაურკვეველია, კლუბი ფოთის პორტისა იქნება თუ ქალაქის მერიის.

ზოგადად, კლუბებს ოთხი კრიტერიუმისთვის (სპორტული, იურიდიული, საკადრო-ადმინისტრაციული, ფინანსური) საჭირო საბუთების შეგროვება არ უნდა გაუჭირდეთ, მაგრამ ძალიან პრობლემატურია ინფრასტრუქტურული კრიტერიუმი — ამბობს გერა ხეცურიანი.

ინფრასტრუქტურაში შედის სტადიონებიც — უეფაში 28 თებერვალს უნდა გაიგზავნოს ევროტურნირების სამასპინძლოდ შეგულებული სტადიონების სია. გერა ხეცურიანმა თქვა, ძალიან გვინდოდა, „ტორპედოს“ მოედანიც წარგვედგინა უეფაში, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობას ამის თაობაზე ვერაფრით მოველაპარაკეთო. დარჩა ორი სტადიონი — „ლოკომოტივი“ და „ეროვნული“, თუმც ბოლო ვადა დღეს რომ იყოს, ვერც ეს ორი არენა მიიღებდა ლიცენზიას და ქართული კლუბები ევროთასების გარეშე დარჩებოდნენ...

რატომ? „ლოკომოტივის“ სტადიონის „ბალური“ მოჯლიტული ჯერ გურკვეველია, „ეროვნულზე“ - კი საერთოდაც და ამხანგის მსრევაც საშინელი სურათია. „დინამოს“ ესაფრთხოების ოფიცერმა გია ისიანმა თქვა, ბევრს არც აქვს გაცნობიერებული, რა გველის სტადიონების მოუწესრიგებლობის გამო: „ყაზახეთის ვერც ერთმა სტადიონმა ვერ მიიღო ლიცენზია და მათი კლუბებიც ევროტურნირების გარეშე დარჩნენ. გარდა ამისა, უეფა კრძალავს ერთ სტადიონზე სამი გუნდის თამაშს — მხოლოდ ორია დასაშვები, ანუ ოთხი გუნდი რომ გავა საქართველოდან, მინიმუმ ორი მოედანი უნდა გვქონდეს. რამდენადაც ვიცი, თბილისის მერიამ ეროვნულ სტადიონზე სკამების დასამატებლად თანხა გადმორიცხა (საკარაუდოდ, 1 300 000 ლარი) და 60 ათასი სკამის დამონტაჟებაზეა ლაპარაკი, მაგრამ მინდორი? აჯობებს, 30-40 ათასი სკამი გაკეთდეს და გაზონი მოწესრიგდეს“.

პრესკონფერენციაზე ისიც ითქვა, „ეროვნულზე“ რომ ყველა სტუდარ გუნდს მოშარდვა უნდება, ესეც იმის ბრალია, სტადიონი რომ ვიზუალურად უვარგისიაო. გია ისიანი ჟურნალისტების პრობლემებსაც შეეხო — პრესლოჟა მოუწესრიგებელია, არადა, ყველა ნორმალური ქვეყნის სტადიონებზე ეს ადგილი გადახურულიაო. ამის თაობაზე ითქვა, რომ ჟურნალისტებს შესაძლოა, სტადიონის ვიპ-ლოჟაში გამოუძებნონ ადგილი, სადაც 100 კაცი თავისუფლად დაეტევა.

აი, ასე, კუს ნაბიჯებით მიდის ლიცენზირების პროცესი, რისი მიზეზი სახელმწიფოს მიდგომაშიც უნდა ვეძებოთ. რაღა შორს წავიდეთ, მეზობელ აზერბაიჯანში მთავრობამ კლუბებს გადასახადები მოუხსნა და სტადიონ-ბაზებითაც დაეხმარა, ჩვენთან კი ფეხბურთს დახმარების ხელი არ ატყვია. დაპირება კი, იცოცხლეთ, ლამის სადღეგრძელოებით ითქვა...

ილია ნანოგაფვილი

მუმუს ბურთის ნაცვლად ველოსიპედი შერჩა...

ავსტრიული მაქსბუნდესლიგა გასულ შაბათს განახლდა და გრაცის „შტურმსაც“ უშუალო კონკურენტი „ზალცბურგი“ 3:1 შემოემარცხა, თუმც არნოლდ შვარცნეგერის ქალაქის გუნდმა ეს საქმე დავით მუჯირის გარეშე გაიკეთა. ქართველი ნახევარმცველი სულ მცირე კიდევ ერთი თვე ვერ დაეხმარება „შტურმს“ — „მუმუსთვის“ საზარდულის ტრავმა ხიფათიანი და ხანგრძლივი გამოდგა და გუშინ ავსტრიაში რომ დავუკავშირდით, ძალიან გაწბილებული ჩანდა...

„ოთხი კვირა მოედანზე ვერ გავალ. მართალია, ოპერაცია არ დამჭირდა, მაგრამ ტრავმა მაინც იმაზე სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა. ახლა ინდივიდუალურად უნდა ვივარჯიშო, თანაც ბურთს ვერ გავეკარები — ექიმებმა ველოსიპედზე ვარჯიში მირჩიეს. მარტის ბოლოს ფეხი კი მომირჩება, მაგრამ სანამ გუნდთან ერთად დავიწყებ მზადებას და ფორმაში შევალ, ეგებ აპრილიც მიილიოს“ — გვითხრა მუჯირმა.

„შტურმი“ მაქსბუნდესლიგაში მეშვიდე საფეხურზე აცოცდა, მაგრამ გრაცელებს ევროტურნირებზე გასვლის იმედი დიდი ხანია, გადაეწურათ. ლიდერთა სამეულს საკმაოდ ჩამორჩებიან და ისევ არგასავარდნად თუ იბრძოლებენ.

„ზალცბურგელებთან მოგებით „შტურმმა“ ამოისუნთქა, მაგრამ ახლა სამი უძნელესი თამაში გვაქვს „აუსტრიასთან“, „პაშინგთან“ და „რაპიდთან“. იმედი მაქვს, სეზონის ბოლომდე 10-12 მატჩის ჩატარებას მაინც მოვასწრებ. ძალიან მომენატრა მინდორზე გასვლა“.

„მუმუმ“ ბოლოს სინანულით თქვა, საქართველოს ნაკრების სამარტო თამაშები გამიცდება, მაგრამ გამოძახების იმედი ისედაც არ მქონდა — როცა ჯანმრთელად ვიყავი, მაშინაც არ მიწვევდნენ ნაკრებშიო...

ილია ნანოგაფვილი

აურზაურის წაგების გამო
მაურინიუ აღშფოთდა და დადუმდა

REUTERS ბარსელონიდან

ფრანკ რაიკარდმა და ჟოზე მაურინიუმ ერთმანეთი გამოლანძღეს

„ჩელსი“ აბობოქრდა და უეფაში საგანგებო პროტესტი გაგზავნა იმის თაობაზე, რაც ბარსელონაში, ჩემპიონთა ლიგის მატჩის შესვენებისას მოხდა გასახდელთა გვირაბში.

თამაშის შემდეგ ჟოზე მაურინიუმ და მთელმა ლონდონურმა გუნდმა უარი თქვეს მატჩისშემდგომ ინტერვიუებზე. მაურინიუ სულაც პრესკონფერენციაზე არ მისულა. ამისთვის „ჩელსის“ ჯარიმა ელის, ოღონდ იგი სულაც არ ანაღვლებს.

მაურინიუ აცხადებს, რომ გვირაბში ფრანკ რაიკარდმა კამათი გაუბა მატჩის შვედ არბიტრ ანდერს ფრისკს, რომელმაც მოგვიანებით დიდიე დროგბა გააძევა მინდვრიდან. ადრე მსგავს მოქცევაში მაურინიუმ ალექს ფერგიუსონსაც დასდო ბრალი.

„ეს ყველაფერი გადაჭარბებულია — განმარტა რაიკარდმა — მე ძალიან ზრდილობიანად, ინფორმაციული ხასიათის რაღაც ვუთხარი მსაჯს თამაშის შესახებ. ის ჩვენს გასახდელში საერთოდ არ შემოსულა. ამგვარი ჭორი მხოლოდ ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს“.

„ჩელსის“ მხრიდან კი მხოლოდ ოფიციალური კომენტარი იყო და ისიც პრესმდივან საიმონ გრინბერგის პირით: „ჩვენ ყველაფერს უეფას მოვახსენებთ“.

ინგლისელები იმ თავიანთ პროტესტში წერენ, რომ რაიკარდის თანაშემწემ ჰენკ ტენკატემ გვირაბში გაწევ-გამოწევისას, იმავე შესვენების დროს ზურგში ჩასცხო მაურინიუსო.

ხოლო ესპანური მედია კი იმას წერს, რომ ტეკანტემ და „ჩელსის“ მეკარეების მწვრთნელმა, მაურინიუს თანამემამულე სილვინიომ ხელდახელ იჩხუბეს. თუმც ორივემ მოგვიანებით ეს ფაქტი უარყო.

„ჟოზეს მედიასთან აუცილებლად უნდა ელაპარაკა — დასძინა რაიკარდმა და პრესკონფერენციაზე დააყოლა — მათ უბრალოდ, ეთიკა არ იციან“. მოკლედ, „ბარსას“ მწვრთნელმა კულტურულად გამოლანძღა მაურინიუ და ჩელსელები.

დეკოს კი მომხდარი ძალიან გაჰკვირვებია: „პორტუში“ ყოფნისას ჟოზე არასოდეს იქცეოდა ასე“.

მაურინიუ, ეტყობა, მართლაც ძალიან გაბრაზდა. ეგებ იმაზეც, რომ მისმა გუნდმა ერთბაშად ორი გოლი გაუშვა მაშინ, როცა პრაქტიკულად მშრალად ინახავს ხოლმე კარს.

ირაკლი გამყრელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადახდა უნდა ვალსაო
მარადონას 30 მილიონი არ ჰქონია

ლეგენდარულ დიეგო მარადონას იტალიის მართლმსაჯულება უტევს.

ვიდრე არგენტინული და მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავი კოლუმბიაში ეგზოტიკური არდადეგებით ერთობოდა, აპენინელთა მრისხანე ტრიბუნალმა დიდ დიეგოს 30 მილიონი დოლარის გადახდა დააკისრა — ვალი გაქვსო.

როგორც გაირკვა, მარადონა თურმე „ნაპოლიში“ თამაშისას გადასახადების შესახებ კანონებს არას დაგიდევდათ და სახელმწიფოსთვის ჩასაბარებელი გვარიანი თანხაც ამიტომაც დაჰგროვებია.

ესეც რომ არა, იტალიელმა მომჩივნებმა ხსენებული თანხა ჯინძლო გაორმაგონ კიდეც, რადგან გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან კარგა ხანი გავიდა და ფულის კურსიც, მოგეხსენებათ, ფრიად ცვალებადია.

სათქმელი ისიცაა, რომ მარადონა აქამდეც მრავალჯერ გაუფრთხილებიათ, თუმც რიგი მიზეზების გამო მან ხელიდან ხელში იტალიური უწყება მარტო ორჯერ მიიღო — პირველად სასამართლოს პრეტენზია დიეგოს 1993 წლის 18 მაისს სევილიაში იტალიის კონსულის მეშვეობით გადაეცა, ხოლო მეორედ მილანის აეროპორტში, 1998 წლის 27 ნოემბერს გამოუჭვრიათ.

არც ერთი გზავნილი ცოცხალმა ლეგენდამ გულთან, მით უმეტეს, ჯიბესთან, ახლოს არ მიიკარა, თუმც ვნახოთ, მორიგი შეტყობინება რა შედეგს მოიტანს.

დიეგო მარადონას კომენტარი ამ საკითხზე კი ჯერჯერობით უცნობია.

ლადო ხომერიკი

წადი შენი...
გლეიზერს სიკვდილით დაემუქრნენ



REUTERS მანჩესტერიდან

„მანჩესტერმა“ კი წაგო შინ „მილანთან“, მაგრამ ოთხშაბათ დღეს ამ ქალაქში მატჩის გარდა სხვა რამეც იყო — კერძოდ კი საპროტესტო აქცია.

ეს აქცია მიმართული იყო ამერიკელი მილიარდერის, მალკოლმ გლეიზერის წინააღმდეგ, რომელიც არა და არ ეშვება კლუბს და უკვე მესამედ მიმართა „მანჩესტერის“ მმართველ საბჭოს მთლიანად ყიდვის მოთხოვნით. გლეიზერი კლუბის აქციების 28 პროცენტს ფლობს და ეს არ აკმაყოფილებს. „მანჩესტერელი“ ფანები კი სასტიკი წინააღმდეგნი არიან გლეიზერის მეპატრონეობისა.

ხმაურიანი და მწყობრი სვლა „იუნაიტედის“ მცირე მეწილეთა და დამოუკიდებელ ფანთა ასოციაციის მიერ იყო მოწყობილი, სვლა კი „ოლდ ტრეფორდზე“ დასრულდა.

„ჩვენ არ ვიყიდებითო და „გაყიდვა სიკვდილია“, „თუ იყიდი, მოგკლავთ“ — ასეთი იყო მთავარი ლოზუნგები.

ირაკლი გამყრელიძე

REUTERS მანჩესტერიდან

კლეგერსონი ჟურაბჩიანს ელის

ბრაზილიელი ფეხბურთელი კლებერსონი, რომელმაც ეგრემც ვერ ითამაშა „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში, სამშობლოში მიემგზავრება.

მისი აგენტის, მარკუ ანტონიუ და სილვას ცნობით, საქმე 99 პროცენტით გაჩარხულია და კლებერსონი „კორინთიანსში“ გადავა. დარჩენილია მხოლოდ კომპანია „ემესაის“ მეთაურის, კია ჟურაბჩიანის ოფიციალური თანხმობა.

ეს „ემესაი“ კი იმ „კორინთიანსის“ მფლობელია, რომელმაც წლეულს ერთი ხმაურიანი ტრანსფერი უკვე განახორციელა — „ბოკა ხუნიორსიდან“ კარლოს ტევესი გადაიყვანა და მალე ლამის ყბადაღებულ თემად ქცეულ, მეორე ახალგაზრდა არგენტინელის, ხავიერ მასკერანოს საქმესაც დაადგამს საშველს

ირაკლი გამყრელიძე

სალგადო ოპერაციას გადარჩა

„რეალის“ განაპირა მცველი მიჩელ სალგადო გულდასმით გამოიკვლიეს. მოგეხსენებათ, „იუვენტუსთან“ მატჩში მას პაველ ნედვედის ფეხი მოხვდა და უკვე მე-9 წუთზევე შეიქნა შესაცვლელი. ექიმებმა დაადგინეს, რომ 29 წლის სალგადოს მარჯვენა მუხლის მყესები აქვს დაზიანებული, მაგრამ ოპერაცია აუცილებელი არ არის. სარეაბილიტაციო კურსი კი დაახლოებით ერთ თვეს გასტანს.

შესაბამისად, მიჩელ სალგადო ტურინელებთან საპასუხო შეხვედრას გამოტოვებს. იგი „რეალს“ ვერც „დეპორტივოსთან“, „ბეტისთან“, „ვალენსიასთან“, „ხეტაფესა“ და „მალგასთან“ მატჩებში დაეხმარება. სათუოა მისი თამაში 30 მარტს, ესპანეთისა და სერბეთის ნაკრებთა შეხლაშიც.

გიორგი კაკაბაძე

ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

უმეოჩენკოს მილანი უმეკარეთ ოლდ ტრეფორდზე
კრესპომ მხოლოდ დაამატა



REUTERS მანჩესტერიდან

როი კეროლის შეცდომას, ერნან კრესპოს (შუაში) გოლი და მილანელთა სიხარული მოჰყვა

მანჩესტერი. „ოლდ ტრეფორდი". 67 162 მაყურებელი

მანჩესტერი 0:1 მილანი

0:1 კრესპო (78)

კეროლი, გ. ნევილი (სილვესტრი 80), ფერდინანდი, ბრაუნი, ჰაინცე, კ. რონალდო (ვან ნისტელროი 63), კინი, სქოულზი, ფორჩუნი (საა 80), გიგზი, რუნი მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი	დიდა, კაფუ (კოსტაკურტა 87), ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო (ამბროზინი 84), ზეედორფი, რუი კოშტა, კაკა (სერჟინიო 90), კრესპო მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: ნესტა, ფორჩუნი

მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

ასეთი ამბავი წლეულს მესამედ დაემართა „მანჩესტერის" მეკარეს, როი კეროლს: ბურთი ხელში ვერ დაიჭირა, რასაც ერნან კრესპოს ერთადერთი და მომგებიანი გოლი მოჰყვა. ისე კი, „მილანმა" ბურთი უგორავა მასპინძლებს და ეს ლაზათიანად და ჭკვიანურად გამოუვიდა, მაშინ, როცა „მანჩესტერი" მოქანცული და მარტივი ჩანდა.

კლარენს ზეედორფმა კოხტად დაარტყა 78-ე წუთზე, თუმცა, ეს არ იყო ის ბურთი, ხელიდან რომ უნდა გაგივარდეს. „მილანის" უკეთესობაც იმ სალამოს სწორედ ამით გამოიხატა. „მათ ზეედორფისთვის არ უნდა დაერტყმევინებინათ, კრესპომ უბრალოდ დაამატა" — თქვა ნამატჩევს ალექს ფერგიუსონმა.

კვინტონ ფორჩუნმა კი, რომელმაც პირველ ტაიმში მასპინძელთა ყველაზე რეალური მომენტი ვერ გამოიყენა, კეროლი შეაგულიანა: „წაგება მარტო როის ბრალი არ არის, ყველას ბრალია".

ეს კი ასეა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, დიადი პიტერ შმაიხელის წასვლის შემდეგ „მანჩესტერს" ნორმალური მეკარე უბრალოდ, რომ არ ღირსებია და წლის ბოლოს კეროლიც მიდის, რახან სასურველ კონტრაქტზე ვერ უთანხმდება კლუბს.

საკუთრივ თამაში კი, განსაკუთრებით მისი მეორე ტაიმი, „მილანის" ჯოტა მასტერ კლასი რიგების ფონზე მიმდინარეობდა. „მანჩესტერი" უფრო სისწრაფით ცდილობდა თამაშის მორგებულებას, მაგრამ ეს არ გამოსდიოდა.

პირველ ტაიმში ზეედორფმა საჯარიმოდან ჰკრა ზედა ძელს, პოლ სქოულზმა კი საპასუხოდ ცარიელ კარში ააცდინა. ერთხელ კრისტიანო რონალდომ მთელი მოედანი გადაირბინა და ფორჩუნს მეკარის წინ მიაწოდა ბურთი, ოღონდაც სისწრაფეზე წაფორთხილებულმა აფრიკელმაც ვერ დაარტყა ზუსტად. „მანჩესტერს" საბოლოოდ მაშინ მოუთავდა ხელი, როცა ეს ორნი მოედნიდან გავიდნენ.

„მეორე ტაიმში თამაში გვეჭირა — თქვა ზეედორფმა — ამას ლოგიკური გოლიც მოჰყვა. მეორე ტაიმში მათ მომენტი უბრალოდ, არ ჰქონიათ".

რუუდ ვან ნისტელროი დიდი ტაშისცემის ფონზე შევიდა მოედანზე 63-ე წუთზე, ოღონდაც „მანჩესტერის" მთავარმეგოლის დაბრუნებამ სამთვიანი შესვენების შემდეგ ვერაფერი შეცვალა.

„მგონია, რომ მეტი გვეკუთვნოდა — წარბშეუხრელად განაცხადა სერ ალექსმა — მაღალი კლასის თამაში იყო და პირველ ტაიმში შეგვეძლო გაგვეტანა. ბრძოლა კი გრძელდება".

„მილანისთვის" კი ინგლისში მხოლოდ ერთი რამ იყო სამწუხარო: კლუბის 44 წლის ექიმი არმანდო გოცინი მანჩესტერულმა პოლიციამ სასტუმროს მომსახურე ქალთან წაღლაბუცებისთვის დააკავა. „მილანმა" „მაღალი მორალის კაცი" უწოდა თავის ექიმს, რომელიც, ცხადია, ციხეში არ დაუტოვებიათ და მოგვიანებით, ლონდონის სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგეს.

სხვა მხრივ კი, „მილანი" კმაყოფილი და კარგფეხბურთნათამაშევი დაბრუნდა შინ.

ირაკლი გამყრელიძე

გულით ვითამაშეთ, გონებით კი არა
მანჩინიმ ბაია ირჩია

REUTERS პორტუგალიიდან

ობაფემი მარტინსმა „პორტუს" დაცვა მაგრად გააწვალა

პორტუ. „დრაგაუ". 38 177 მაყურებელი

პორტუ 1:1 ინტერი

0:1 მარტინსი (24), 1:1 რიკარდუ კოშტა (61)

ვიტორ ბაია, სეიტარიდისი, პ. ემანუელი, რიკარდუ კოშტა, ნუნუ ვალენტე, ბოსინგვა (ლუის ფაბიანო 24), კოშტინია, მეირელეში, მანიშე, კვარესმა (პოსტიგა 83), მაკკარტი მწვრთნელი: ჟოზე კოუსეირუ	ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, მატერაცი, ფავალი, ვერონი (ემრე 71), კ. ძანეტი, კამბიასო, სტანკოვიჩი, ადრიანო (ვიერი 80), მარტინსი მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: ფავალი, კორდობა, კოშტინია, მატერაცი

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

მეორე ტაიმში „პორტუმ" მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თამაში და მეოთხედფინალში გასვლის შანსი დაიტოვა. ერთი სიტყვით, ჯერ ვერავინ იტყვის, ჩემპიონთა ლიგა მისი ბოლო გამარჯვებულის გარეშე დარჩაო.

ახალი მწვრთნელის, რობერტო მანჩინის ხელში დაუმარცხებელმა „ინტერმა" კი კიდევ ერთხელ, თვალნათლივ აჩვენა ყველას, რომ ასე, წაუგებლად, მხოლოდ ძალიან ძლიერი გუნდი შეიძლება მიდიოდეს.

პირველ ტაიმში „შავ-ლურჯები" შეიძლება ითქვას, ხშირად ახერხებდნენ მასპინძლების სახიფათო კონტრშეტევებით დაშინებას, მითუფრო, რომ მოედანზე უსწრაფესი ობაფემი მარტინსი ჰყავდათ საგანგებოდ ამისთვის გამოყვანილი, მაგრამ საკითხს მეორე მხარეც აქვს: „პორტუს" „ესტადიო დრაგაუზე" აგერ უკვე წელიწადია არ წაუგია და ამას ცხადია, არც მილანელებთან აპირებდა — რიკარდუ კოშტამ 61-ე წუთზე გაქვითა მარტინსის 24-ზე გახსნილი ანგარიში.

„პორტუს" ახალმა მწვრთელმა, ჟოზე კოუსეირუმ თავის პირველ ევროშეხვედრაში, თავდასხმელთა ტრიო ათამაშა: სამხრეთაფრიკელ ბენი მაკკარტის გვერდებიდან ჟოზე ბოსინგვა და რიკარდუ კვარესმა შემოუწყო. დისკვალიფიცირებულნი იყვნენ ახალგაზრდა გამთამაშებელი დიეგო და კაპიტანი ჟორჟე კოშტა, ხოლო მილანელებს თავდასხმაში ორნი ჰყავდათ, ზემოხსენებული მარტინსი და ადრიანო.

მასპინძელთათვის ეს შეხვედრა გახლდათ ევროისტორიაში 250-ე, თუმცა პირველი, რომელშიაც მათ წინააღმდეგ „შავ-ლურჯები" იდგნენ.

და, თავიდან სწორედ მათ გამოიჩინეს მეტი „სითამამე" — კვარესმამ მახვილი კუთხიდან დაარტყა და ფრანჩესკო ტოლდო ჩართო საქმეში. შემდეგ „ინტერის" ჯერი დადგა, ხუან სებასტიან ვერონის შესრულებული საჯარიმო დარტყმის გაგრძელება ის იყო, რომ მარკო მატერაციის მძლავრი თავური ვიტორ ბაიამ მოიგერია.

თუმცა, ამის შემდეგ მასპინძელთა ფორვარდმა მაკკარტიმ თავი სტუმარი მცველების გარემოცვაში აღმოიჩინა და შეტევაში უპერსპექტივო „პორტუმ" უკან დაიხია. შედეგად, „ინტერმა" გოლი გაიტანა — მარცხენა ფრთიდან დეიან სტანკოვიჩმა ჩინებული დრიბლინგით შეაღწია „პორტუს" სიღრმეებში და ობაფემი მარტინსს დაუცველ კარში შეაგდებინა ბურთი.

ამის პასუხად, მანიშემ მყისვე უპასუხა შორეული დარტყმით, რომელიც ტოლდომ მოიგერია, რასაც ბოსინგვას ლუის ფაბიანოთი შეცვლა მოჰყვა, მაგრამ თავიდან სურათი ვერც ამან შეცვალა, მეტიც, ვიტორ ბაიას მთელი 30 მეტრის გიჟივით გარბენა დასჭირდა, რათა მარტინსის პასით ადრიანოს მომაკვდინებელი შეტევა ჩაეშალა.

შესვენების შემდეგ კი „პორტუმ" სხვა ფეხბურთი ითამაშა, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ერთხანს მის მოთამაშეთა დარტყმები ძირითადად მაინც შორეული და სუსტი იყო. გამთანაბრებელი გოლი 61-ე წუთზე გავიდა, როდესაც ნუნუ ვალენტემ მარცხენა ფრთიდან ჩააწოდა „ინტერის" საჯარიმოში, სადაც ტოლდომ ბურთის ნაცვლად ჰაერი დაიჭირა, ხოლო რიკარდუ კოშტამ შორეულ ძელთან ბურთი ბადეში შეაგდო.

ამის შემდეგ შეტევით ძირითადად „პორტუ" უტევდა, თუმცა „ინტერმაც" ძველებურად, სახიფათო კონტრშეტევებით უპასუხა და ადრიანომ, სანამ კრისტიან ვიერით შეცვლიდნენ, კინაღამ გაიტანა კიდეც. მერე მომენტები ჰქონდათ ლუის ფაბიანოს, ბენი მაკკარტის და იურკას სეიტარიდისს, ხოლო მთლად ბოლოს ვიტორ ბაიამ ორი ახლოდან დარტყმული ბურთის მოგერიებით გამიჩინა თავი.

ჟოზე კოუსეირუ „პორტუს" მწვრთნელი: „შესვენებაზეც კი, როდესაც თამაშს „ინტერი" იგებდა, გადაწყვეტილი არაფერი იყო და მითუმეტეს ასეა ახლაც, როდესაც მეოთხედფინალისტის ვინაობა მილანში უნდა გაირკვეს. საერთოდ კი, დღევანდელ შეხვედრაზე ასე ვიტყოდი: ჩვენ გულით ვითამაშეთ, გონებით კი არა".

რობერტო მანჩინი, „ინტერის" მწვრთნელი: „ჩვენ კარგად ვითამაშეთ, მატჩის ბოლოს გამარჯვებაც შეგვეძლო, მაგრამ „პორტუსთვის" გადამწყვეტი როლი ვიტორ ბაიამ შეასრულა. მინდა აღვნიშნო აგრეთვე, რომ მასპინძლებს დიდებული გუნდი ჰყავთ, ჩვენ კი კარგ შედეგს მივაღწიეთ. სტუმრად ყოველთვის ხომ ვერ გაიმარჯვებ. მოკლედ, ყველაფერი კარგად არის, დღევანდელი გმირი კი უდავოა, ბაია გახლდათ".

პაპუნა კედია

ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

მაღალი, ქერა მაქსიმუმი

ბარსელონა. „კამპ ნოუ". 98 000 მაყურებელი

ბარსელონა 2:1 ჩელსი

0:1 ბელეტი (33ს.კ.), 1:1 მაქსი ლოპესი (67), 2:1 ეტოო (73)

ვ. ვალდესი, ბელეტი (ხერარდი 85), პუიოლი, მარკესი, ვან ბრონკჰორსტი, ჟიული (მაქსი ლოპესი 64), ხავი, ალბერტინი (ინიესტა 57), დეკო, რონალდინიო, ეტოო
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

ჩეხი, პ. ფერეირა, ტერი, რ. კარვალიუ, გალასი, ტიაგუ (სმერტინი 90), მაკელელე, ლამპარდი, ჯ. კოული (ჯონსონი 70), დაფი (გუდიონსენი 76), დროგბა
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: დროგბა, დროგბა; გაძევება: დროგბა (56)
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

REUTERS ბარსელონიდან

ანდერს ფრისკმა დიდიე დროგბას წითელი ბარათი სამართლიანად აუფრიალა

გვარიანად ხმაურიანი თამაში გამოვიდა. „ბარსა" — „ჩელსის" საჩემპიონთალიგო ჯახს აჟიოტაჟი არც მატჩამდე აკლდა, მაგრამ თავად შეხვედრა და მისი დასრულების შემდეგ დატრიალებული ამბები, ვინძლო, კარგა ხანს დარჩეს სპორტული მედიის მთავარი თემა. „კამპ ნოუზე" დამარცხებულმა ჟოზე მაურინიუმ თავის გასამართლებლად ჩვეული ხერხი მოიშველია, კატალონიელთა მწვრთნელ ფრანკ რაიკარდს არბიტრ ანდერს ფრისკზე ზემოქმედება დააბრალა, მერე კი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა. თუმც, მოდით, ამაზე სიტყვას ნუღარ გავაგრძელებთ, რადგან ამ სკანდალურ ამბავზე წვრილად ცალკე წერილში მოგითხრობთ. ქვემოთ არც გუშინწინდელი მატჩის პერიპეტიების დეტალურად აღწერას ვაპირებთ. თუმც შევეცდებით, ის გარემოებები და ეპიზოდები გამოვარჩიოთ, რომლებმაც თამაშზე მოახდინეს გავლენა და რომლებმაც განსაზღვრეს კიდეც მატჩის საბოლოო შედეგი.

რაიკარდი VS მაურინიუ

ორი სრულიად სხვადასხვა ხასიათისა და საფეხბურთო მსოფლმხედველობის მწვრთნელი. გაწონასწორებული, მშვიდი, შეტევის მოყვარული რაიკარდი და უსაშველოდ ამბიციური, სკანდალ-პროვოკაციების ამგორებელი, დაცვის მოტრფიალე ბრწყინვალე ტაქტიკოსი მაურინიუ. თამაშის სურათი თითქოს თავიდანვე ნათელი იყო — რაიკარდი გუნდს მშობლიურ „კამპ ნოუზე" შესატევად მომართავდა, მაურინიუ პირიქით, შეეცდებოდა კონტრშეტევებისთვის მიემართა და ბარსელონიდან ერთი გოლი მაინც წაეღო. ასეც მოხდა. პირველ ტაიმში ლონდონელთა ორად-ორი კონტრშეტევიდან ერთი „ბარსას" კარში გოლით დასრულდა — ბურთი საკუთარ კარში ბელეტიმ ჩაჭრა. ეს უკვე პორტუგალიელის ტაქტიკური გეგმის გამართლება იყო. როგორი იქნებოდა რაიკარდის პასუხი? ჰოლანდიელმა „ჩელსის" მწვრთნელისთვის მოულოდნელი სვლა გააკეთა. 64-ე წუთზე მოედანზე შეუშვა ჭაბუკი მაქსი ლოპესი, რომლისთვისაც ჩემპიონთა ლიგა იქამდე უცხო ხილი იყო. ჯანიანმა და ტანმაღალმა მაქსიმ შეტევის ცენტრში ეტოოსთან ერთად დაიჭირა ადგილი და „ჩელსის" საჯარიმოში ჯარასავით დატრიალდა. მაურინიუმ საპასუხოდ გლენ ჯონსონის გამოყვანა დააგვიანა — 67-ე წუთზე ლოპესმა ანგარიშის გათანაბრება შეძლო.

მატჩი „ბარსამ" მოიგო, მაგრამ ვინ მოიგო მწვრთნელთა დუელი? თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ „ჩელსიმ" სტუმრად გაიტანა, მაშინ ვთქვათ — მაურინიუმ. ხოლო თუ გავიხსენებთ, რომ „ბარსამ" წაგებული თამაში შემოატრიალა, ლონდონელები მთელი თამაშის მანძილზე საკუთარ კარს მიაჯაჭვა და უამრავი საგოლე მომენტი შექმნა, მაშინ — რაიკარდმა. ესე იგი, ფრე გამოვიდა.

ბელეტი და დროგბა

ბრაზილიელი ბელეტი ისე იყო ადვილად ბული, მასთან დისციპლინურად მისული ვაპიტან კარლეს პუიოლსაც კი ხელი აუკრა. საკუთარ კარში ბურთის ჩაჭრა, თან ასეთ მნიშვნელოვან მატჩში ნაღდად ვერ არის კარგი ამბავი. მოგვიანებით ბელეტი კიდევ შეცდა. ვალდესს ბურთი მკერდით უხეიროდ დაუგდო, მაგრამ ბედმა ბრაზილიელი აღარ გაწირა, პირიქით, მისმა შეცდომამ „ბარსას" წისქვილზე დაასხა წყალი — ბურთზე გამოსულ ვალდესს დიდიე დროგბა გაშლილი ფეხით შეეგება და ანდერს ფრისკმაც ლონდონელთა თავდასხმელისთვის წითელი ბარათი არ დაიშურა, უფრო სწორად, მეორეჯერ გააფრთხილა. საქმე ისაა, რომ დროგბა მანამდეც უხეშობდა და პირველ ტაიმში გაყვითლება უკვე მოესწრო. დროგბას გაძევების მერე კი კატალონიელებმა ისე შეუტიეს, სტუმრები მასპინძელთა საჯარიმოს არც მოახლოვებიან. პირველ ნახევარში დროგბა იმითაც გამოირჩა, რომ რეალური საგოლე შანსი ქარს გაატანა, ვალდესთან პირისპირ გასულს რომ ევარგა, „ჩელსი" 2:0 დაწინაურდებოდა.

მაქსის მაქსიმუმი

„ამ გოლს ვერასოდეს დავივიწყებ, მადლობა რაიკარდს, რომ მენდო და თამაშის საშუალება მომცა. ვერ წარმოიდგენთ, როგორი ბედნიერი ვარ" — ხარობდა ნამატჩევს მაქსი ლოპესი. არგენტინელმა მწვრთნელის დავალება ზუსტად შეასრულა, „ჩელსის" მცველებს გვარიანი საქმე გაუჩინა, ბრწყინვალე გოლიც გაიტანა და სამუელ ეტოოსაც გაატანინა. „დღეს მაქსის დღეა, ასეთ დებიუტს ვერც ინატრებდა" — ულოცავდა თანაგუნდელს ბრაზილიელი რონალდინიო.

ის მაინც მაგარია

ზემოთ ნახსენებ მიზეზთა გამო პრესკონფერენციაზე კითხვებს მხოლოდ ფრანკ რაიკარდმა უპასუხა: „ეს იყო ორი დიდი გუნდის მართლაც საოცარი თამაში, ჟოზე მაურინიუ კი უმაღლესი დონის მწვრთნელია, მაგრამ მან დღეს წააგო. ჩემმა ფეხბურთელებმა ბევრი მომენტი შექმნეს, გული იმაზე მწყდება, რომ მხოლოდ ორჯერ გავიტანეთ".

სოსო კოტორეიშვილი

ბრემენელი მუსიკოსები და ორკესტრი ლიონიდან

REUTERS ბრემენიდან

მაჰამადუ დიარა და სიდნეი გოვუ ბრემენულ 3:0-ს ხარობენ

ბრემენი. „ვეზერშტადიონი". 36 923 მაყურებელი

ვერდერი 0:3 ლიონი

0:1 ვილტორდი (10), 0:2 დიარა (77), 0:3 ჟუნინიო (81)

რაინკე, სტალტერი, ისმაელი, პასანენი, მანინი, დ. იენსენი, ერნსტი, ბოროვსკი (ჰანტი 61), მიკუ, კლოზე, ნ. ვალდესი
მწვრთნელი: თომას შაფი

კუპე, ლ. დიატა, ესიენი, კრისი, აბიდალი, გოვუ (ბენ არფა 88), მ. დიარა, ფრო (ნილმარი 63), ჟუნინიო, მალუდა, ვილტორდი (კლემანი 76)
მწვრთნელი: პოლ ლე გუენი

გაფრთხილება: გოვუ, ვილტორდი, ბოროვსკი
მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

საკმაოდ უცნაური გამოდგა და ძალიან მოულოდნელი შედეგით დასრულდა გერმანიისა და საფრანგეთის მოქმედი ჩემპიონების დაპირისპირება. ბრემენში მასპინძლები სამი ბურთის სხვაობით წააგებენო, ამას ალბათ, „ლიონის" თავგადაკლული ქომაგებიც კი ვერ გაიფიქრებდნენ, მაგრამ...

დასაწყისი მასპინძლებს ცუდს არაფერს უქადდათ. მათ რამდენჯერმე გრეგორი კუპე შეაწუხეს კიდეც, თუმც უკვე მე-10 წუთზე „ლიონმა" პირველი სახიფათო კონტრიერიში წამოიწყო, რომელიც გოლით დასრულდა: მშვენიერი კომბინაცია სილვენ ვილტორდმა ახლო მანძილიდან დაასრულა შედეგიანი დარტყმით.

უნდა აღინიშნოს, რომ „ლიონი" 4-3-3 სისტემით თამაშობდა და მიუხედავად ადრეული გოლისა, პოლ ლე გუენს ტაქტიკა მერეც არ შეუცვლია

„ვერდერს" გონზე მოსასვლელად დაახლოებით 10 წუთი დასჭირდა, რის შემდეგაც აქტიურად დაიწყო ანგარიშის გათანაბრებაზე ზრუნვა. ბრემენელებს მიზნის მიღწევა ბევრჯერ შეეძლოთ, მაგრამ ბოლო მომენტში უხეიროდ თამაშობდნენ. საერთოდაც, თომას შაფის შეგირდები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ სათამაშო და ტერიტორიულ უპირატესობას, მაგრამ გოლები მხოლოდ ერთ გუნდს გაჰქონდა.

77-ე წუთზე სტუმრებმა „ვერდერის" საჯარიმო მოედნის მისადგომებთან კიდევ ერთი მინი-კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც ზუსტი დარტყმით მაჰამადუ დიარამ დაასრულა და სხვაობა გაორა.

დარჩენილ დროში შოკირებულ ბრემენელებს ხეირიანი აღარაფერი შეუქმნიათ, ხოლო მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე საკუთარ კარში მესამე გოლიც იხილეს. თავი ჟუნინიო პერნამბუკანომ გამოიჩინა. ბრაზილიელმა დაახლოებით 30 მეტრიდან ჩვეულ სტილში, ჩინებულად დააქუხა ჯარიმიდან — ბურთმა ჰაერში უცნაური მანევრები გააკეთა და რაინკესგან მარჯვენა მაღალ ცხრიანში ტყვიასავით შეფრინდა.

„სამწუხაროდ, ბოლო წამს გაირკვა, რომ ივან კლასნიჩი ვერ ითამაშებდა, მაგრამ მარცხს მის არყოფნას არ ვაბრალებ. უბრალოდ, „ლიონს" სივრცე და ზედმეტი უფლებები მივეცით. ეს მატჩი უფრო ჩვენ წავაგეთ, ვიდრე მათ მოიგეს. აქამდე მოსასვლელად ბევრი ვიშრომეთ და ვიწვალეთ, არა მგონია, რომელიმე ფეხბურთელმა ყველაფერი ასე მარტივად ჩაყაროს წყალში. ამიტომ საპასუხო შეხვედრაში შევეცდებით, უკეთესად ვითამაშოთ და რაც შეიძლება, მეტი გოლი გავიტანოთ" — განწირული კაცის იერით თქვა გერმანელთა ნირწამხდარმა მწვრთნელმა თომას შაფმა.

პოლ ლე გუენმა კი დასძინა: „ცხადია, შედეგით კმაყოფილი და გახარებული ვარ. „ვერდერი" კარგი გუნდია და შეიძლებოდა, სერიოზული პრობლემები გვქონოდა, მაგრამ გაგვიმართლა. ამ ანგარიშმა შემდეგ ეტაპზე გასვლა თითქმის კი გაგვინაღდა, თუმც წინ საპასუხო მატჩია, რაც ნამდვილად არ გვაიწყდება. ჩვენ უკვე საკმაო გამოცდილება დაგვიგროვდა და ბევრი რამ ვისწავლეთ".

გიორგი კაკაბაძე

საპასუხო მატჩები გაიმართება 8 მარტს

სარგებელი: კროკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		26 თებერვალი						
15:45	1	საუთჰემპტონი-არსენალი	5.8	3.6	1.55	2.22	1.22	1.08
15:45	2	საუთჰემპტონი-არსენალი1:0	2.2	3.5	2.35			
18:00	3	ტოტენჰემი-ფულჰემი	1.8	3.3	4.35	1.16	1.27	1.87
18:00	4	ასტონ ვილა-კვერეტონი	2.3	3.2	2.9	1.33	1.28	1.52
18:00	5	კრისტალ პალასი-ბირმინგემი	2.45	3.2	2.7	1.38	1.28	1.46
20:15	6	მანჩესტერი-პორტსმუთი	1.2	5.5	12.0	1.0	1.09	3.77
20:15	7	მანჩესტერი-პორტსმუთი0:1	1.5	4.0	3.1			
		27 თებერვალი						
16:00	8	ნიუკასლი-ბოლტონი	1.9	3.2	3.9	1.19	1.27	1.75
18:00	9	მიდლსბრო-ჩარლტონი	1.9	3.2	3.9	1.19	1.27	1.75
		28 თებერვალი						
23:00	10	ნორვიჩი-სიტი	2.6	3.2	2.5	1.43	1.27	1.4
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		26 თებერვალი						
18:00	22	ბრაიტონი-მილუოლი	2.3	3.3	2.75	1.35	1.25	1.5
18:00	23	ქოვენთრი-სტოკი	2.35	3.3	2.7	1.37	1.25	1.48
18:00	24	ჯილინგემი-უიგანი	3.5	3.3	1.95	1.69	1.25	1.22
18:00	25	იფსვიჩი-ქარ	1.55	3.5	5.5	1.07	1.2	2.13
18:00	26	ლიდსი-ვესტ ჰემი	2.25	3.3	2.8	1.33	1.24	1.51
18:00	27	ნოტინგემი-დერბი	2.7	3.2	2.4	1.46	1.27	1.37
18:00	28	პლიმუთი-ქრიუ	2.25	3.3	2.8	1.33	1.24	1.51
18:00	29	პრესტონი-ბარნლი	1.85	3.3	3.9	1.18	1.25	1.78
18:00	30	რედინგი-ლესტერი	2.0	3.3	3.35	1.24	1.25	1.66
18:00	31	სანდერლენდი-კარდიფი	1.55	3.6	5.5	1.08	1.2	2.17
18:00	32	ვულვერჰემპტონი-უოტფორდი	1.9	3.3	3.6	1.2	1.24	1.72
18:00	33	შეფილდი-როტერჰემი	1.5	3.5	6.5	1.04	1.21	2.27
		ინგლისი. I ლიგა						
		26 თებერვალი						
18:00	46	ბარნსლი-ტორკი	1.85	3.3	3.7	1.18	1.23	1.74
18:00	47	ბორნმუთი-ტრანმერი	2.35	3.3	2.7	1.37	1.25	1.48
18:00	48	ბრენტფორდი-ულსი	2.25	3.3	2.7	1.33	1.22	1.48
18:00	49	ბრისტოლი-ბლეკბერნი	1.7	3.4	4.2	1.13	1.21	1.87
18:00	50	წესტფორდი-მანჩესტერი	1.7	3.4	4.2	1.13	1.21	1.87
18:00	51	დონკასტერი-სუინდონი	2.2	3.3	2.8	1.32	1.23	1.51
18:00	52	ჰალიფაქსი-ოლდჰემი	1.8	3.3	3.8	1.16	1.22	1.76
18:00	53	ჰალი-კოლჩესტერი	1.5	3.5	6.0	1.04	1.2	2.21
18:00	54	ჰორტ ვეილი-ლუტონი	3.2	3.3	2.0	1.62	1.23	1.24
18:00	55	უოლსოლი-ბრედფორდი	2.2	3.3	2.8	1.32	1.23	1.51
18:00	56	რექსჰემი-დონსი	2.0	3.3	3.3	1.24	1.24	1.64
18:00	404	სტოკპორტი-პარტლეიელი	3.3	3.3	2.0	1.64	1.24	1.24
		ინგლისი. II ლიგა						
		26 თებერვალი						
18:00	69	ბისტონი-ნორთჰემპტონი	2.2	3.3	2.8	1.32	1.23	1.51
18:00	70	კემბრიჯი-ოქსფორდი	2.65	3.3	2.3	1.46	1.23	1.35
18:00	71	გრიმსბი-იოვილი	2.85	3.3	2.15	1.52	1.22	1.3
18:00	72	ლეიტონი-დარლინგტონი	2.25	3.3	2.7	1.33	1.22	1.48
18:00	73	შაკლსფილდი-როტერჰემი	1.65	3.4	4.5	1.11	1.2	1.93
18:00	74	რიჩფილდი-კიდერმინსტერი	1.6	3.5	4.8	1.09	1.2	2.02
18:00	75	რაუტლენ-შენსფილდი	2.45	3.3	2.55	1.4	1.24	1.43
18:00	76	შრიუსბერი-წესტერი	2.1	3.3	3.0	1.28	1.23	1.57
18:00	77	საუთენდი-ბერი	1.55	3.6	5.2	1.08	1.19	2.12
16:30	78	სუინსი-სანთიერმი	2.15	3.3	2.9	1.3	1.23	1.54
18:00	79	ვეიმუთი-ნოტსი	1.75	3.4	4.0	1.15	1.21	1.83
18:00	80	წელფენემი-ლინკოლნი	2.25	3.3	2.7	1.33	1.22	1.48
		ინგლისი. კონფერენსი						
		26 თებერვალი						
18:00	84	ბარნეტი-ალდერშოტი	1.75	3.4	4.0	1.15	1.21	1.83
18:00	85	ფარნბორო-ლეი	1.65	3.5	4.5	1.12	1.2	1.96
18:00	86	ფორესტ გრინი-სტივენეიჯი	2.8	3.3	2.2	1.51	1.23	1.32
18:00	87	ჰალიფაქსი-ნორთვიჩი	1.65	3.4	4.5	1.11	1.2	1.93
18:00	88	სკარბორო-ქრიოლი	2.3	3.3	2.6	1.35	1.22	1.45
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		26 თებერვალი						
18:00	401	რეინჯერსი-კილმარნოკი	1.12	6.0	13.0	1.0	1.03	4.1
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		26 თებერვალი						
18:00	89	ერდრი-ჰამილტონი	1.8	3.4	3.7	1.17	1.21	1.77
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		26 თებერვალი						
18:00	90	ალაა-ფორფარი	1.75	3.5	3.7	1.16	1.18	1.79
18:00	91	არბროთი-ლაიმბარტონი	2.35	3.4	2.45	1.38	1.19	1.42
18:00	92	ეარი-ბერიკი	1.7	3.4	4.2	1.13	1.21	1.87
18:00	93	ბრეჩინი-სტირლინგი	1.7	3.4	4.2	1.13	1.21	1.87
18:00	94	მორტონი-სტრანრაერი	2.3	3.3	2.55	1.35	1.2	1.43
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		26 თებერვალი						
18:00	95	ალბიონი-ისტ ფაიფი	2.25	3.3	2.7	1.33	1.22	1.48
18:00	96	კოუდენბით-სტენჰაუსმური	1.95	3.4	3.2	1.23	1.21	1.64
18:00	97	ისტ სტირლინგი-გრეტნა	12.0	5.5	1.15	3.77	1.04	1.0
18:00	98	ელგინი-ჭუინს პარკი	2.35	3.3	2.6	1.37	1.23	1.45
18:00	99	მონტროზი-პიტერჰედი	6.0	4.0	1.4	2.4	1.13	1.03
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		26 თებერვალი						
17:30	100	ვერდერი-ბოხუმი	1.35	4.5	7.5	1.03	1.14	2.81
17:30	101	ვერდერი-ბოხუმი0:1	1.8	3.7	2.5			
17:30	102	არმინია-ნიურნბერგი	2.1	3.3	3.2	1.28	1.26	1.62
17:30	103	დორტმუნდი-მაინცი	1.5	3.8	6.3	1.07	1.21	2.37
17:30	104	ფრაიბურგი-ბაიერნი	6.2	3.8	1.5	2.35	1.2	1.07
17:30	105	ჰანზა-მიონხენგლადბახი	2.45	3.4	2.55	1.42	1.24	1.45
17:30	106	ჰერტა-პადბურგი	2.05	3.3	3.35	1.26	1.27	1.66
17:30	107	კაიზერსლაუტერნი-ვოლფსბურგი	1.95	3.2	3.8	1.21	1.28	1.73
		27 თებერვალი						
19:30	108	ლევერკუზენი-შტუტგარტი	2.0	3.4	3.4	1.25	1.25	1.7
19:30	109	შალკე-ჰანოვერი	1.5	3.7	6.5	1.06	1.21	2.35
		გერმანია. II ბუნდესლიგა						
		25 თებერვალი						
21:00	111	მიუნხენი-კოტბუსი	1.65	3.4	5.0	1.11	1.24	2.02
21:00	112	ესენი-ბურგჰაუზენი	2.15	3.0	3.2	1.25	1.28	1.54
21:00	113	ზაარბრიუკენი-კარლსრუე	1.75	3.2	4.2	1.13	1.23	1.81
		27 თებერვალი						
17:00	114	უნტერჰახინგი-ტრიერი	1.95	3.2	3.5	1.21	1.25	1.67
17:00	115	ობერჰაუზენი-აინტრახტი	2.55	3.2	2.5	1.41	1.26	1.4
17:00	116	ალემანია-აუე	1.75	3.3	4.2	1.14	1.23	1.84
17:00	117	ალენი-ერფურტი	1.8	3.2	4.0	1.15	1.24	1.77
17:00	118	დინამო-კიელნი	2.9	3.1	2.2	1.49	1.25	1.28
		28 თებერვალი						
22:15	119	ფიურტი-დუისბურგი	2.1	3.1	3.2	1.25	1.26	1.57
		გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)						
		25 თებერვალი						
21:30	120	მიუნსტერი-ვერდერი(შ)	1.9	3.3	3.4	1.2	1.21	1.67
		26 თებერვალი						
16:00	121	ოსნაბრიუკი-სტ.პაული	1.65	3.5	4.5	1.12	1.2	1.96
16:00	122	ურლინგენი-დიუსელდორფი	1.85	3.4	3.5	1.19	1.21	1.72
16:00	123	ვოლფსბურგი(შ)-ლიუბეკი	2.8	3.2	2.2	1.49	1.23	1.3
16:00	124	ვუპერტალი-არმინია(შ)	1.6	3.6	4.5	1.1	1.18	2.0
16:00	125	ბრაუნშაიგი-ქემნიცი	1.4	4.0	6.2	1.03	1.14	2.43
16:00	126	კილი-პადერბორნი	2.55	3.3	2.3	1.43	1.2	1.35
16:00	127	კიელნი(შ)-უნიონი	1.75	3.5	3.9	1.16	1.2	1.84
		27 თებერვალი						
16:00	128	ჰერტა(შ)-დორტმუნდი(შ)	1.95	3.3	3.2	1.22	1.21	1.62
		გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)						
		25 თებერვალი						
21:30	129	კობლენცი-პოფენჰაიმი	2.3	3.2	2.65	1.33	1.23	1.44
21:30	130	ოფენბახი-რეგენსბურგი	1.55	3.6	4.8	1.08	1.17	2.05
		26 თებერვალი						
16:30	131	ვეენი-ბაიერნი(შ)	2.3	3.2	2.7	1.33	1.24	1.46
16:30	132	მიუნხენი(შ)-ელვერსბერგი	2.3	3.2	2.7	1.33	1.24	1.46
16:30	133	აალენი-დარმშტადი	2.3	3.2	2.7	1.33	1.24	1.46
16:30	134	აუგსბურგი-ხიდენი	1.9	3.2	3.5	1.19	1.23	1.67
		27 თებერვალი						
17:00	136	მაინცი(შ)-კაკერი	2.25	3.2	2.7	1.32	1.22	1.46
17:00	137	ფულდენლიორფი-შტუტგარტი(შ)	2.2	3.3	2.8	1.32	1.23	1.51
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		26 თებერვალი						
20:30	138	მატერსბურგი-ალპირა	1.7	3.4	4.5	1.13	1.23	1.93
20:30	139	ზალცბურგი-ტირიოლი	2.1	3.3	3.1	1.28	1.25	1.59
20:30	140	ბრეგენცი-რაპიდი	4.7	3.5	1.65	2.0	1.22	1.12
		27 თებერვალი						
17:30	141	გრაცერი-შტურმი	1.7	3.4	4.4	1.13	1.22	1.91
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		27 თებერვალი						
16:30	143	შაფჰაუზენი-აარაუ	2.35	3.2	2.6	1.35	1.23	1.43
16:30	144	თუნი-ციურიხი	2.2	3.2	2.9	1.3	1.25	1.52
16:30	145	ქსამაქსი-სტ.გალენი	1.7	3.4	4.3	1.13	1.21	1.89
18:15	147	გრასჰოპერი-იანგ ბოიზი	1.95	3.3	3.3	1.22	1.22	1.64

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვეიცარია. ჩემპიონატი						
		27 თებერვალი						
16:30	148	ვილი-ბალენი	1.4	4.0	6.5	1.03	1.15	2.47
16:30	149	ოლერდინგ-შო დე ფონი	1.25	4.8	8.5	1.0	1.08	3.06
16:30	150	ბელეგ-ვოლენი	2.25	3.2	2.75	1.32	1.23	1.47
16:30	151	�ეი-ფეირინი	1.55	3.5	5.5	1.07	1.2	2.13
16:30	152	ბელეზი-კონკორდია	1.8	3.3	3.8	1.16	1.22	1.76
16:30	153	ლუკერნი-ერინსი	1.7	3.3	4.5	1.12	1.23	1.9
16:30	154	სიონი-ბელინცონა	1.9	3.3	3.5	1.2	1.23	1.69
18:00	155	ვალეტა-ოლენეზეი	1.25	4.8	8.0	1.0	1.08	3.0
18:00	156	ლუგანო-ვინტერთური	1.8	3.3	3.8	1.16	1.22	1.76
		იტალია. სერია A						
		26 თებერვალი						
20:00	157	ბრეშა-სამპდორია	2.6	3.0	2.7	1.39	1.32	1.42
22:30	158	ფიორენტინა-ულინეზე	2.5	3.1	2.7	1.38	1.29	1.44
		27 თებერვალი						
17:00	159	ოლენეზი-სიენა	1.2	5.3	12.0	1.0	1.09	3.67
17:00	160	ოლენეზი-სიენა 0:1	1.5	3.5	3.2			
17:00	161	ლაციო-პარმა	2.0	3.1	3.75	1.21	1.3	1.69
17:00	162	ლეჩე-ფეხინა	1.95	3.1	3.95	1.19	1.3	1.73
17:00	163	პალერმო-რიმინი	2.5	3.1	2.7	1.38	1.29	1.44
17:00	164	რეჯინა-კიეზე	1.85	3.1	4.4	1.15	1.3	1.81
17:00	165	ბოლონია-ლიეორნი	1.85	3.1	4.4	1.15	1.3	1.81
17:00	166	კალიარი-ატალანტა	1.55	3.6	6.0	1.08	1.23	2.25
22:30	167	ინტერი-მილანი	2.6	3.1	2.6	1.41	1.29	1.41
		იტალია. სერია B						
		25 თებერვალი						
22:45	169	პიაჩენცა-ტორინო	2.65	2.7	2.7	1.33	1.33	1.35
		27 თებერვალი						
17:00	170	სალერნიტანა-კატანზარო	1.55	3.15	6.5	1.03	1.25	2.12
17:00	171	ტერნანა-ტრევიზო	2.15	2.7	3.5	1.19	1.33	1.52
17:00	172	ტრიესტინა-კატანია	2.35	2.7	3.15	1.25	1.34	1.45
17:00	173	ვენეციი-მოდენა	2.3	2.8	3.1	1.26	1.32	1.47
17:00	174	ვერონა-ასკოლი	1.95	2.8	4.0	1.14	1.31	1.64
17:00	175	ჯენოა-ბარი	1.6	3.0	6.5	1.04	1.28	2.05
17:00	176	ჩეზენა-პერუჯა	2.7	2.6	2.8	1.32	1.37	1.34
17:00	177	კრიტონე-არეზეო	2.15	2.7	3.5	1.19	1.33	1.52
17:00	178	პესკარა-ვიჩენცა	2.2	2.7	3.5	1.21	1.35	1.52
		28 თებერვალი						
22:45	179	ალბინოლეფე-ქ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:00	293	ვარშიმი-ლეკმიღეში	2.25	3.1	2.8	1.3	1.24	1.47
		საბერძნეთი						
		26 თებერვალი						
17:00	296	იონიკოსი-პანიონიოსი	2.25	3.0	2.9	1.28	1.26	1.47
18:45	298	კალამარია-ეგალეო	2.85	2.9	2.3	1.43	1.27	1.28
20:30	299	კალითეა-ბეკ	3.65	3.0	1.9	1.64	1.24	1.16
		27 თებერვალი						
20:00	294	არისი-პაოკ	2.5	2.9	2.65	1.34	1.28	1.38
15:45	295	ერგოტელისი-ქანთი	2.85	2.9	2.3	1.43	1.27	1.28
17:45	297	ირაკლისი-ოფე	1.75	3.3	4.0	1.14	1.21	1.8
20:00	300	ოლიმპიაკოსი-ხალკიდონა	1.15	6.0	12.0	1.0	1.04	4.0
20:00	301	ოლიმპიაკოსი-ხალკიდონა0:1	1.45	4.2	3.2			
18:00	302	პანათინაიკოსი-კერკირა	1.1	6.5	15.0	1.0	1.02	4.53
18:00	303	პანათინაიკოსი-კერკირა0:1	1.25	4.5	4.6			
		თურქეთი						
		26 თებერვალი						
17:00	306	დიარბაქირი-გენსლერბირლიგი	2.1	3.3	3.2	1.28	1.26	1.62
17:00	307	რიზე-ისთანბული	1.5	3.7	6.5	1.06	1.21	2.35
17:00	308	ანკარაგუჯუ-ბალიათია	2.3	3.3	2.7	1.35	1.24	1.48
20:00	309	სამსუნი-გალათასარაი	5.8	3.7	1.5	2.25	1.19	1.06
20:00	310	სამსუნი-გალათასარაი1:0	2.0	3.6	2.2			
		27 თებერვალი						
17:30	304	ბეშიქთაში-სკარია	1.15	6.5	12.0	1.0	1.04	4.21
17:30	305	ბეშიქთაში-სკარია0:1	1.45	4.5	3.1			
15:00	311	ტრაბზონი-ლენსლი	1.4	4.0	7.0	1.03	1.16	2.54
15:00	312	ანკარა-გაზიანთეფე	2.15	3.3	3.0	1.3	1.25	1.57
15:00	313	კონია-კაისერი	1.55	3.7	5.0	1.09	1.18	2.12
20:00	314	ფენერბაჩე-სებათი	1.1	7.0	12.0	1.0	1.0	4.42
20:00	315	ფენერბაჩე-სებათი0:1	1.25	4.5	4.5			
		ჩეხეთი						
		26 თებერვალი						
19:00	316	ბუდეიოვიცე-ბანიკი	2.65	2.9	2.5	1.38	1.28	1.34
16:25	318	სლავია-სიგმა	1.65	3.3	4.7	1.1	1.22	1.93
19:00	319	სლოვაკეი-ბრნო	1.65	3.3	4.7	1.1	1.22	1.93
		27 თებერვალი						
19:00	320	ტეპლიცე-ბოლეესლავი	1.5	3.4	6.3	1.04	1.21	2.2
19:00	321	პრეიბრამი-ლიბერეცი	3.2	3.0	2.1	1.54	1.26	1.23
19:00	322	ბლიანი-სლონი	2.3	3.0	2.85	1.3	1.27	1.46
19:00	323	ლრნიოვიცე-იაბლონეცი	2.25	2.9	3.2	1.26	1.32	1.52
		28 თებერვალი						
18:40	317	ოლეკა-სპარტა	8.0	4.5	1.3	2.88	1.11	1.0
		ხორვატია						
		26 თებერვალი						
17:00	324	სლავენი-კამენი	1.8	3.3	3.8	1.16	1.22	1.76

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17:00	325	ვარტექსი-ინტერი	1.6	3.5	4.8	1.09	1.2	2.02
17:00	326	ზადარი-შედიბერიე	1.6	3.4	4.8	1.08	1.2	1.99
17:00	327	დინამო-ზაგრები	1.4	4.0	6.5	1.03	1.15	2.47
19:00	328	რიეკა-ჰელა	1.3	4.5	8.0	1.0	1.1	3.88
19:15	329	ოსიეკი-ჰაიდუკი	4.0	3.4	1.7	1.83	1.19	1.13
		ინგლისი. თასი						
		27 თებერვალი						
18:00	373	ლიეტერბელი-ჩელსი	3.6	3.2	1.95	1.69	1.26	1.21
		შოტლანდია. თასი						
		26 თებერვალი						
18:00	375	პიბერნიანი-სტ.მირენი	1.3	4.4	8.0	1.0	1.11	2.83
		27 თებერვალი						
15:00	374	ლანდი ოუნაიტედი-ბაერლინი	2.4	3.3	2.5	1.38	1.22	1.42
18:00	402	კლაიდი-სელტიკი	12.0	5.5	1.15	3.77	1.04	1.0
18:00	403	პართიკ-ლივინგსტონი	1.5	3.5	6.0	1.04	1.2	2.21
		ბელგია. თასი						
		26 თებერვალი						
22:00	377	ლიერსი-შარლერუა	2.25	3.3	2.8	1.33	1.24	1.51
		ჰოკეი. ჩეხეთი						
		25 თებერვალი						
19:30	485	ლიტვინოვი-სლავია	2.1	4.1	2.3	1.38	1.09	1.47
19:30	486	პლზენი-ტრენეცი	1.2	5.0	7.0	1.0	1.02	2.91
19:00	488	ზლინი-კლადნო	1.5	4.2	4.0	1.1	1.09	2.04
19:30	489	დუკლა-ზნოიმო	3.0	4.2	1.7	1.75	1.08	1.21
20:00	490	პარდუბიცე-ვსეტინი	1.15	6.0	8.0	1.0	1.0	3.42
20:30	491	სპარტა-კარლოვი ვარი	1.25	5.0	7.0	1.0	1.06	2.91
		26 თებერვალი						
19:15	487	ვიტკოვიცე-ლიბეჩეცი	2.1	4.2	2.2	1.39	1.07	1.44
		ჰოკეი. სლოვაკეთი						
		25 თებერვალი						
19:00	504	დუბნიცა-პოპრადი	3.8	4.0	1.5	1.94	1.07	1.09
19:00	505	მიკულაში-ჟილინა	2.15	4.0	2.1	1.39	1.06	1.37
19:00	507	ზვოლენი-ტრენჩინი	2.0	4.0	2.35	1.33	1.08	1.48
19:30	508	ხლოვანი-სკალიცა	1.15	5.5	8.0	1.0	1.0	3.25
		26 თებერვალი						
19:00	506	ნიტრა-კოშიცე	2.2	4.0	2.1	1.41	1.07	1.37
		ჰოკეი. გერმანია						
		25 თებერვალი						
21:30	515	ვოლფსბურგი-მანჰაიმი	2.3	4.0	2.1	1.46	1.09	1.37
21:30	516	აუგსბურგი-დიუსელდორფი	2.05	4.2	2.35	1.37	1.09	1.5
21:30	517	ინგოლშტადი-კიოლნი	2.05	4.2	2.35	1.37	1.09	1.5
21:30	519	პანთერი-იბერლინი	2.1	4.3	2.2	1.41	1.07	1.45
21:30	520	კასელი-ფრანკფურტი	2.65	4.3	1.8	1.63	1.07	1.26

ფარული ბიბლიოთეკა

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10001	საუთჰემპტონი-არსენალი	5.3	2.3	1.8	1.6	1.34	1.0
10003	ტოტენჰემი-ფულემი	2.15	2.0	4.3	1.03	1.43	1.36
10004	ასტონ ვილა-ევერტონი	2.6	2.0	3.6	1.13	1.5	1.28
10005	კრისტალ პალასი-ბირმინგემი	2.85	2.0	3.3	1.17	1.52	1.24
10006	მანჩესტერი-პორტსმუთი	1.3	3.4	7.5	1.0	1.1	2.33
10008	ნიუკასლი-ბოლტონი	2.3	2.0	4.2	1.06	1.48	1.35
10009	მიდლსბრო-ჩარლტონი	2.3	2.0	4.2	1.06	1.48	1.35
10010	ნორვიჩი-სიტი	3.1	1.9	3.0	1.17	1.52	1.16
10100	ვერდერი-ბოხუმი	1.65	2.3	6.0	1.0	1.29	1.66
10102	არმინია-ნიურნბერგი	2.5	2.0	3.8	1.11	1.5	1.31
10103	დორტმუნდი-მაინცი	1.7	2.2	6.0	1.0	1.32	1.6
10104	ფრაიბურგი-ბაიერნი	5.3	2.2	1.8	1.55	1.34	1.0
10105	ჰანზა-მიონხენგლადბახი	2.75	2.0	3.2	1.15	1.47	1.23
10106	ჰერტა-ჰამბურგი	2.3	2.0	4.3	1.06	1.49	1.36
10107	კაიზერსლაუტერნი-ვოლფსბურგი	2.3	2.0	4.3	1.06	1.49	1.36
10108	ლევერკუზენი-შტუტგარტი	2.35	2.0	4.2	1.08	1.5	1.35
10109	შალკე-ჰანოვერი	1.7	2.3	5.8	1.0	1.31	1.64
10157	ბრემა-სამპდორია	3.15	1.9	3.3	1.18	1.61	1.2

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10158	ფიორენტინა-უდინეზე	3.15	1.9	3.3	1.18	1.61	1.2
10159	იუვენტუსი-სიენა	1.35	3.0	7.0	1.0	1.13	2.09
10161	ლაციო-პარმა	2.4	2.0	4.3	1.09	1.54	1.36
10162	ლეჩე-მესინა	2.1	2.0	5.0	1.02	1.47	1.42
10163	პალერმო-რომა	2.75	1.9	3.7	1.12	1.57	1.25
10164	რეჯინა-კიევო	2.1	2.0	5.0	1.02	1.47	1.42
10165	ბოლონია-ლივორნო	2.15	1.9	6.2	1.0	1.59	1.45
10166	კალიარი-ატალანტა	1.8	2.2	5.3	1.0	1.34	1.55
10167	ინტერი-მილანი	3.2	1.9	3.3	1.19	1.62	1.2
10200	ატლეტიკო-სოსიედადი	2.1	2.0	4.6	1.02	1.44	1.39
10201	ესპანიოლი-ალბასეტე	1.9	2.2	5.0	1.01	1.37	1.52
10202	დეპორტივო-რეალი	3.3	2.0	2.7	1.24	1.48	1.14
10203	მალიორკა-ლევანტე	2.3	2.0	4.3	1.06	1.49	1.36
10204	ნუმანსია-ბარსელონა	6.0	2.5	1.7	1.76	1.32	1.01
10206	ოსასუნა-მალაგა	2.2	2.0	4.5	1.04	1.47	1.38
10207	სევილია-რასინგი	1.7	2.3	5.5	1.0	1.29	1.62
10209	ვალენსია-ბეტისი	2.4	2.0	4.0	1.09	1.5	1.33
10210	სარაგოსა-ვილიარეალი	2.7	2.0	3.3	1.14	1.48	1.24

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11001	საუთჰემპტონი-არსენალი	8.0	10.0	20.0	9.0	4.6	3.5	20.0	10.0	2.1
11003	ტოტენჰემი-ფულემი	2.6	10.0	20.0	3.6	4.4	7.0	20.0	10.0	6.0
11004	ასტონ ვილა-ევერტონი	3.4	10.0	20.0	4.4	4.4	5.0	20.0	10.0	4.6
11005	კრ. პალასი-ბირმინგემი	3.6	10.0	20.0	4.6	4.4	4.8	20.0	10.0	4.0
11006	მანჩესტერი-პორტსმუთი	1.4	12.0	25.0	3.5	5.0	10.0	20.0	10.0	10.0
11008	ნიუკასლი-ბოლტონი	2.7	10.0	20.0	3.6	4.4	7.0	20.0	10.0	6.0
11009	მიდლსბრო-ჩარლტონი	2.7	10.0	20.0	3.6	4.4	7.0	20.0	10.0	6.0
11010	ნორვიჩი-სიტი	3.8	10.0	20.0	4.6	4.4	4.6	20.0	10.0	3.8
11100	ვერდერი-ბოხუმი	1.8	12.0	25.0	3.5	5.0	10.0	20.0	10.0	10.0
11102	არმინია-ნიურნბერგი	3.0	10.0	20.0	4.0	4.4	6.0	20.0	10.0	5.3
11103	დორტმუნდი-მაინცი	1.9	12.0	25.0	3.5	4.6	10.0	20.0	10.0	10.0
11104	ფრაიბურგი-ბაიერნი	7.5	10.0	20.0	8.5	4.4	3.5	20.0	10.0	1.9
11105	ჰანზა-მიონხენგლადბახი	3.5	10.0	20.0	4.4	4.4	5.3	20.0	10.0	4.4
11106	ჰერტა-ჰამბურგი	3.0	10.0	20.0	4.0	4.4	6.0	20.0	10.0	5.3
11107	ლაუტერნი-ვოლფსბურგი	2.8	10.0	20.0	3.8	4.4	6.5	20.0	10.0	5.6
11108	ლევერკუზენი-შტუტგარტი	2.7	10.0	20.0	4.0	4.4	6.0	20.0	10.0	5.3
11109	შალკე-ჰანოვერი	1.9	10.0	20.0	3.5	4.6	9.0	20.0	10.0	8.0
11157	ბრემა-სამპდორია	3.8	10.0	20.0	4.6	4.4	4.6	20.0	10.0	3.8

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11158	ფიორენტინა-უდინეზე	3.7	10.0	20.0	4.6	4.4	4.8	20.0	10.0	4.0
11159	იუვენტუსი-სიენა	1.5	15.0	30.0	3.4	4.8	12.0	20.0	11.0	11.0
11161	ლაციო-პარმა	3.0	10.0	20.0	4.0	4.4	6.0	20.0	10.0	5.3
11162	ლეჩე-მესინა	2.6	10.0	20.0	3.8	4.4	6.5	20.0	10.0	5.6
11163	პალერმო-რომა	3.7	10.0	20.0	4.6	4.4	4.8	20.0	10.0	4.0
11164	რეჯინა-კიევო	2.7	10.0	20.0	3.6	4.4	7.0	20.0	10.0	6.0
11165	ბოლონია-ლივორნო	2.7	10.0	20.0	3.6	4.4	7.0	20.0	10.0	6.0
11166	კალიარი-ატალანტა	2.0	10.0	20.0	3.5	4.6	9.0	20.0	10.0	8.0
11167	ინტერი-მილანი	3.8	10.0	20.0	4.6	4.4	4.6	20.0	10.0	3.8
11200	ატლეტიკო-სოსიედადი	2.5	10.0	20.0	3.5	4.6	7.5	20.0	10.0	7.0
11201	ესპანიოლი-ალბასეტე	2.0	10.0	20.0	3.5	4.6	9.0	20.0	10.0	8.0
11202	დეპორტივო-რეალი	4.4	10.0	20.0	5.0	4.4	4.6	20.0	10.0	3.5
11203	მალიორკა-ლევანტე	2.8	10.0	20.0	4.0	4.4	6.0	20.0	10.0	5.3
11204	ნუმანსია-ბარსელონა	7.5	10.0	20.0	8.5	4.4	3.5	20.0	10.0	1.9
11206	ოსასუნა-მალაგა	2.6	10.0	20.0	3.6	4.4	7.0	20.0	10.0	6.0
11207	სევილია-რასინგი	1.9	12.0	25.0	3.5	4.6	10.0	20.0	10.0	10.0
11209	ვალენსია-ბეტისი	3.0	10.0	20.0	4.0	4.4	6.0	20.0	10.0	5.3
11210	სარაგოსა-ვილიარეალი	3.6	10.0	20.0	4.6	4.4	4.8	20.0	10.0	4.0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13001	საუთჰემპტონი-არსენალი	1.7	1.9
13003	ტოტენჰემი-ფულემი	1.7	1.9
13004	ასტონ ვილა-ევერტონი	1.7	1.9
13005	კრ. პალასი-ბირმინგემი	1.7	1.9
13006	მანჩესტერი-პორტსმუთი	2.0	1.6
13008	ნიუკასლი-ბოლტონი	1.7	1.9
13009	მიდლსბრო-ჩარლტონი	1.7	1.9
13010	ნორვიჩი-სიტი	1.7	1.9
13100	ვერდერი-ბოხუმი	1.7	1.9
13102	არმინია-ნიურნბერგი	1.6	2.0
13103	დორტმუნდი-მაინცი	1.7	1.9
13104	ფრაიბურგი-ბაიერნი	1.6	2.0
13105	ჰანზა-მიონხენგლადბახი	1.5	2.2
13106	ჰერტა-ჰამბურგი	1.5	2.2
13107	ლაუტერნი-ვოლფსბურგი	1.5	2.2
13108	ლევერკუზენი-შტუტგარტი	1.5	2.2
13109	შალკე-ჰანოვერი	1.7	1.9
13157	ბრემა-სამპდორია	1.7	1.9
13158	ფიორენტინა-უდინეზე	1.7	1.9
13159	იუვენტუსი-სიენა	1.9	1.7
13161	ლაციო-პარმა	1.7	1.9
13162	ლეჩე-მესინა	1.6	2.0
13163	პალერმო-რომა	1.7	1.9
13164	რევინა-კიევი	1.7	1.9
13165	ბოლონია-ლივორნო	1.7	1.9
13166	კალიარი-ატალანტა	1.7	1.9
13167	ინტერი-მილანი	1.7	1.9
13200	ატლეტიკო-სოსიედადი	1.7	1.9
13201	ესპანიოლი-ალბასეტე	1.7	1.9
13202	დეპორტივო-რეალი	1.6	2.0
13203	მალიორკა-ლევანტე	1.7	1.9
13204	ნუმანსია-ბარსელონა	1.7	1.9
13206	ოსასუნა-მალაგა	1.7	1.9
13207	სევილია-რასინგი	1.7	1.9
13209	ვალენსია-ბეტისი	1.7	1.9
13210	სარაგოსა-ვილიარეალი	1.7	1.9

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12001	საუთჰემპტონი-არსენალი	1.7	1.9
12003	ტოტენჰემი-ფულემი	1.7	1.9
12004	ასტონ ვილა-ევერტონი	1.7	1.9
12005	კრ. პალასი-ბირმინგემი	1.7	1.9
12006	მანჩესტერი-პორტსმუთი	2.0	1.6
12008	ნიუკასლი-ბოლტონი	1.7	1.9
12009	მიდლსბრო-ჩარლტონი	1.7	1.9
12010	ნორვიჩი-სიტი	1.7	1.9
12100	ვერდერი-ბოხუმი	2.1	1.6
12102	არმინია-ნიურნბერგი	1.9	1.7
12103	დორტმუნდი-მაინცი	2.0	1.6
12104	ფრაიბურგი-ბაიერნი	2.0	1.6
12105	ჰანზა-მიონხენგლადბახი	1.9	1.7
12106	ჰერტა-ჰამბურგი	2.0	1.6
12107	ლაუტერნი-ვოლფსბურგი	2.0	1.6
12108	ლევერკუზენი-შტუტგარტი	2.2	1.55
12109	შალკე-ჰანოვერი	2.0	1.6
12157	ბრემა-სამპდორია	1.6	2.0
12158	ფიორენტინა-უდინეზე	1.7	1.9
12159	იუვენტუსი-სიენა	1.9	1.7
12161	ლაციო-პარმა	1.9	1.7
12162	ლეჩე-მესინა	2.1	1.6
12163	პალერმო-რომა	1.7	1.9
12164	რევინა-კიევი	1.7	1.9
12165	ბოლონია-ლივორნო	1.6	2.0
12166	კალიარი-ატალანტა	1.7	1.9
12167	ინტერი-მილანი	1.7	1.9
12200	ატლეტიკო-სოსიედადი	1.7	1.9
12201	ესპანიოლი-ალბასეტე	1.7	1.9
12202	დეპორტივო-რეალი	1.7	1.9
12203	მალიორკა-ლევანტე	1.6	2.0
12204	ნუმანსია-ბარსელონა	1.7	1.9
12206	ოსასუნა-მალაგა	1.6	2.0
12207	სევილია-რასინგი	1.7	1.9
12209	ვალენსია-ბეტისი	1.7	1.9
12210	სარაგოსა-ვილიარეალი	1.7	1.9

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანბარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე უსრული ზაბეულად ჩაითვლება)

14001	საუთჰემპტონი-არსენალი	2.5	1.3
14003	ტოტენჰემი-ფულემი	1.65	2.3
14004	ასტონ ვილა-ევერტონი	1.8	2.0
14005	კრ. პალასი-ბირმინგემი	1.85	1.95
14006	მანჩესტერი-პორტსმუთი	1.07	2.9
14008	ნიუკასლი-ბოლტონი	1.7	2.2
14009	მიდლსბრო-ჩარლტონი	1.7	2.2
14010	ნორვიჩი-სიტი	1.9	1.9
14100	ვერდერი-ბოხუმი	1.2	2.6
14102	არმინია-ნიურნბერგი	1.75	2.1
14103	დორტმუნდი-მაინცი	1.3	2.5
14104	ფრაიბურგი-ბაიერნი	2.5	1.3
14105	ჰანზა-მიონხენგლადბახი	1.85	1.95
14106	ჰერტა-ჰამბურგი	1.75	2.1
14107	ლაუტერნი-ვოლფსბურგი	1.7	2.2
14108	ლევერკუზენი-შტუტგარტი	1.7	2.2
14109	შალკე-ჰანოვერი	1.3	2.5
14157	ბრემა-სამპდორია	1.9	1.9
14158	ფიორენტინა-უდინეზე	1.9	1.9
14159	იუვენტუსი-სიენა	1.05	2.9
14161	ლაციო-პარმა	1.7	2.2
14162	ლეჩე-მესინა	1.7	2.2
14163	პალერმო-რომა	1.9	1.9
14164	რევინა-კიევი	1.65	2.3
14165	ბოლონია-ლივორნო	1.65	2.3
14166	კალიარი-ატალანტა	1.3	2.5
14167	ინტერი-მილანი	1.9	1.9
14200	ატლეტიკო-სოსიედადი	1.45	2.4
14201	ესპანიოლი-ალბასეტე	1.3	2.5
14202	დეპორტივო-რეალი	2.0	1.8
14203	მალიორკა-ლევანტე	1.7	2.2
14204	ნუმანსია-ბარსელონა	2.5	1.3
14206	ოსასუნა-მალაგა	1.7	2.2
14207	სევილია-რასინგი	1.3	2.5
14209	ვალენსია-ბეტისი	1.7	2.2
14210	სარაგოსა-ვილიარეალი	1.85	1.95

ფრეს ბარეშე(ძირ. დრო)

16001	საუთჰემპტონი-არსენალი	3.4	1.2
16003	ტოტენჰემი-ფულემი	1.3	2.9
16004	ასტონ ვილა-ევერტონი	1.55	2.2
16005	კრ. პალასი-ბირმინგემი	1.6	1.9
16006	მანჩესტერი-პორტსმუთი	1.03	7.0
16008	ნიუკასლი-ბოლტონი	1.35	2.5
16009	მიდლსბრო-ჩარლტონი	1.35	2.5
16010	ნორვიჩი-სიტი	1.75	1.7
16100	ვერდერი-ბოხუმი	1.1	4.55
16102	არმინია-ნიურნბერგი	1.45	2.3
16103	დორტმუნდი-მაინცი	1.15	4.0
16104	ფრაიბურგი-ბაიერნი	3.5	1.2
16105	ჰანზა-მიონხენგლადბახი	1.6	1.9
16106	ჰერტა-ჰამბურგი	1.4	2.4
16107	ლაუტერნი-ვოლფსბურგი	1.35	2.5
16108	ლევერკუზენი-შტუტგარტი	1.35	2.5
16109	შალკე-ჰანოვერი	1.15	4.0
16157	ბრემა-სამპდორია	1.6	1.9
16158	ფიორენტინა-უდინეზე	1.6	1.9
16159	იუვენტუსი-სიენა	1.05	6.3
16161	ლაციო-პარმა	1.4	2.4
16162	ლეჩე-მესინა	1.3	2.8
16163	პალერმო-რომა	1.55	2.1
16164	რევინა-კიევი	1.3	2.8
16165	ბოლონია-ლივორნო	1.3	2.8
16166	კალიარი-ატალანტა	1.15	3.7
16167	ინტერი-მილანი	1.65	1.85
16200	ატლეტიკო-სოსიედადი	1.25	3.0
16201	ესპანიოლი-ალბასეტე	1.2	3.3
16202	დეპორტივო-რეალი	2.0	1.6
16203	მალიორკა-ლევანტე	1.4	2.4
16204	ნუმანსია-ბარსელონა	3.5	1.2
16206	ოსასუნა-მალაგა	1.3	2.7
16207	სევილია-რასინგი	1.15	3.8
16209	ვალენსია-ბეტისი	1.4	2.4
16210	სარაგოსა-ვილიარეალი	1.55	2.1

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანბარად	II-ში
15001	საუთჰემპტონი-არსენალი	3.0	2.8	2.0
15003	ტოტენჰემი-ფულემი	3.0	2.8	2.0
15004	ასტონ ვილა-ევერტონი	3.0	2.8	2.0
15005	კრ. პალასი-ბირმინგემი	3.0	2.8	2.0
15006	მანჩესტერი-პორტსმუთი	3.0	2.8	2.0
15008	ნიუკასლი-ბოლტონი	3.0	2.8	2.0
15009	მიდლსბრო-ჩარლტონი	3.0	2.8	2.0
15010	ნორვიჩი-სიტი	3.0	2.8	2.0
15100	ვერდერი-ბოხუმი	3.0	2.8	2.0
15102	არმინია-ნიურნბერგი	3.0	2.8	2.0
15103	დორტმუნდი-მაინცი	3.0	2.8	2.0
15104	ფრაიბურგი-ბაიერნი	3.0	2.8	2.0
15105	ჰანზა-მიონხენგლადბახი	3.0	2.8	2.0
15106	ჰერტა-ჰამბურგი	3.0	2.8	2.0
15107	ლაუტერნი-ვოლფსბურგი	3.0	2.8	2.0
15108	ლევერკუზენი-შტუტგარტი	3.0	2.8	2.0
15109	შალკე-ჰანოვერი	3.0	2.8	2.0
15157	ბრემა-სამპდორია	3.0	2.8	2.0
15158	ფიორენტინა-უდინეზე	3.0	2.8	2.0
15159	იუვენტუსი-სიენა	3.0	2.8	2.0
15161	აციო-პარმა	3.0	2.8	2.0
15162	ლეჩე-მესინა	3.0	2.8	2.0
15163	პალერმო-რომა	3.0	2.8	2.0
15164	რევინა-კიევი	3.0	2.8	2.0
15165	ბოლონია-ლივორნო	3.0	2.8	2.0
15166	კალიარი-ატალანტა	3.0	2.8	2.0
15167	ინტერი-მილანი	3.0	2.8	2.0
15200	ატლეტიკო-სოსიედადი	3.0	2.8	2.0
15201	ესპანიოლი-ალბასეტე	3.0	2.8	2.0
15202	დეპორტივო-რეალი	3.0	2.8	2.0
15203	მალიორკა-ლევანტე	3.0	2.8	2.0
15204	ნუმანსია-ბარსელონა	3.0	2.8	2.0
15206	ოსასუნა-მალაგა	3.0	2.8	2.0
15207	სევილია-რასინგი	3.0	2.8	2.0
15209	ვალენსია-ბეტისი	3.0	2.8	2.0
15210	სარაგოსა-ვილიარეალი	3.0	2.8	2.0

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ლუდი რამდენიჯერ გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუდად)

		ლუდი	კენტი
17001	საუთჰემპტონი-არსენალი	1.85	1.95
17003	ტოტენჰემი-ფულემი	1.85	1.95
17004	ასტონ ვილა-ევერტონი	1.85	1.95
17005	კრ. პალასი-ბირმინგემი	1.85	1.95
17006	მანჩესტერი-პორტსმუთი	1.85	1.95
17008	ნიუკასლი-ბოლტონი	1.85	1.95
17009	მიდლსბრო-ჩარლტონი	1.85	1.95
17010	ნორვიჩი-სიტი	1.85	1.95
17100	ვერდერი-ბოხუმი	1.85	1.95
17102	არმინია-ნიურნბერგი	1.85	1.95
17103	დორტმუნდი-მაინცი	1.85	1.95
17104	ფრაიბურგი-ბაიერნი	1.85	1.95
17105	ჰანზა-მიონხენგლადბახი	1.85	1.95
17106	ჰერტა-ჰამბურგი	1.85	1.95
17107	ლაუტერნი-ვოლფსბურგი	1.85	1.95
17108	ლევერკუზენი-შტუტგარტი	1.85	1.95
17109	შალკე-ჰანოვერი	1.85	1.95
17157	ბრემა-სამპდორია	1.85	1.95
17158	ფიორენტინა-უდინეზე	1.85	1.95
17159	იუვენტუსი-სიენა	1.85	1.95
17161	ლაციო-პარმა	1.85	1.95
17162	ლეჩე-მესინა	1.85	1.95
17163	პალერმო-რომა	1.85	1.95
17164	რევინა-კიევი	1.85	1.95
17165	ბოლონია-ლივორნო	1.85	1.95
17166	კალიარი-ატალანტა	1.85	1.95
17167	ინტერი-მილანი	1.85	1.95
17200	ატლეტიკო-სოსიედადი	1.85	1.95
17201	ესპანიოლი-ალბასეტე	1.85	1.95
17202	დეპორტივო-რეალი	1.85	1.95
17203	მალიორკა-ლევანტე	1.85	1.95
17204	ნუმანსია-ბარსელონა	1.85	1.95
17206	ოსასუნა-მალაგა	1.85	1.95
17207	სევილია-რასინგი	1.85	1.95
17209	ვალენსია-ბეტისი	1.85	1.95
17210	სარაგოსა-ვილიარეალი	1.85	1.95

საქართველოს ჩემპიონატი

გუნდი ნაღმი
თსუ შარშანდელი ბასკოა

ირაკლი პერტაია

ქართულ კალათბურთს ამ ბოლო დროს ალოგიკურობა დასჩემდა. ნახევრად დაშლილ, უგარეგნიშებელ, უხელფასო და სათამაშო ფორმის არქონის გამო კაცნაკლულმა გუნდმა შეიძლება გაცილებით ძლიერ, უცხოურ შეკრებაგავლილ და ყოველმხრივ დალხენილ მეტოქეს მოუგოს. წინა სეზონის ფინალში იყო, უქონელ-უგარეგნიშებელმა „ბასკომ" შეძლებული „დინამო" რომ დაამარცხა და ბათუმელთა ტრადიციას ამ ჩემპიონატში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი აგრძელებს. თსუ-მ გუშინ ჩემპიონატის ლიდერ სტუ-ს მოუგო, რითაც არცთუ პატარა სენსაცია გამოაცხო.

თუ ამ ბოლო დროს ქართულ პრესაში რომელიმე გუნდზე დაწერილა, პირველ რიგში თსუ-ზე. საშწუხაროდ, ეს ამბები სტუდენტური გუნდის გაჭირვებას, მის დაშლა-არდაშლას ეხებოდა. სტუდენტებს არც სპონსორი გამოსჩენიათ და არც ხელფასი აუღიათ. უნივერსიტეტის რექტორ რუსუდან ლორთქიფანიძის დამაიმედებელ სიტყვას ენდნენ, ერთ მუშტად შეიკრნენ და ენთუზიაზმის ხარჯზე წლეულს აგერ უკვე მეორედ სძლიეს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდს.

წინასამატჩო პრესკონფერენციაზე თსუ-ს თავკაცმა მამუკა ტურაშვილმა ისე პესიმისტურად ილაპარაკა, რომ ყველას ეგონა, ლიდერი იოლად მიითვლიდა ორ ქულას. ორი კვირაა, არ გვივარჯიშია და არასაკმარისი მაისურების გამო ორი მოთამაშეც დაგვაკლდებაო, დაიჩივლა სტუდენტთა დამრიგებელმა. ესეც რომ არა, სტუ ერთი თავით მაღლა დგას თსუ-ზე; ფინანსურად წელგამართულია, შედარებით ძლიერი შემადგენლობაც ჰყავს და უცხოური შეკრებაც გავლილი აქვს თავის სპარინგ-თამაშებით. თსუ-ს კი მაისურებიც არ ჰყოფნის და ამით ამ გუნდის მზადყოფნა-შეძლებულობაზე ლაპარაკი დასრულებულია.

ნათქვამია, გაჭირვება გამაერთიანებულიაო, მაგრამ თუ სწორი ტაქტიკით არ ითამაშებდნენ, თსუ-ელებს მხოლოდ მონდომება და გვერდში დადგომა წარმატებას ვერ მოუტანდა. ტურაშვილის სამწყსომ მოინდომა კიდეც, მატჩში მთელი ძალა და ჯიგარიც ჩადო. რაც მთავარია, გააზრებულად ითამაშა და დამსახურებულად მოიგო.

თსუ არ დანებდა მაშინაც კი, როცა სასტარტო შემადგენლობის სამი მოთამაშის გარეშე დარჩა და ოვერტაიმში მოუწია ბრძოლა შეუპოვარ და ჩუბინ ტექნიკოსებთან. ტურაშვილის გუნდი ისეთ მომენტებში მოუმატებდა ხოლმე, როცა ყველა ფიქრობდა, თსუ წელში გატყდაო.

საერთოდ კი, შეგვიძლია თსუ-ს ვუწოდოთ გუნდი-ნაღმი, რადგან ტექნიკოსთა ნაოფლარ და დიდი გაჭირვებით მოპოვებულ უპირატესობას თვალის დახამხამებაში აბათილებდა. სტუ დინჯად, ნება-ნება აკოწიწებდა უპირატესობას და ათქულიან ლიდერობას რომ ასკილდებოდა, თსუ ერთ წუთში ათანაბრებდა ანგარიშს.

ასე მოხდა ორჯერ, მეორე და მესამე მეოთხედის დასაწყისში. სტუ-მ ორჯერვე მძლავრად დაიწყო ათწუთეული და 2-3 წუთი მოანდომა ათქულიანი ლიდერობის დაბეებას. თუმც საამისო ანტივირუსიც გააჩნდა თსუ-ს, რომელიც ჩამორჩენის შემთხვევაში პრესინგს მიმართავდა და ტექნიკოსთა ნაჯაფარს უმალ ქარს ატანდა.

სტუ-მ ვერაფრით ვერ ჩააყენა თამაში სასურველ რიტმში. მეტოქე მასზე არანაკლებ სწრაფად თამაშობდა და შორიდანაც ზუსტად ტყორცნიდა. სწორედ სამქულიანები იყო ის მძლავრი იარაღ, რითაც ირაკლი მაისურაძემ და ნუგზარ კოკლიშვილმა ტექნიკოსებს ორჯერ გაუქარწყლეს გვარიანი უპირატესობა და გადამწყვეტი მეოთხედის წინ სტუ მხოლოდ სამ ქულასღა იგებდა.

მეოთხე ათწუთეული ტექნიკოსებისთვის უიღბლოდ დაიწყო. მეორე ტექნიკური შენიშვნის გამო მოედანი მათმა ლიდერმა რამაზ გოგობერიშვილმა დატოვა, თუმც ამით წონასწორობა აღდგა, რაკი პირველ ტაიმში პერსონალურების ლიმიტის გამო თსუ-ელთა დაცვის ბურჯი ირაკლი ბაქრაძე გავარდა.

–კოკლიშვილმა თავის მე-5 სამქულიანი ჩაგდო და თსუ-ს კარგა ხნით ადრე დაკარგული ლიდერობა დაუბრუნა. „კოკლას" მაისურაძემაც მიბაძა და ტურაშვილის გუნდს უკვე ექვსქულიანი ლიდერობა აქვს — 86:80 სირენამდე 6 წუთით ადრე.

ამის შემდეგ სტუ-ელი გიორგი მარკოიშვილი იღებს მე-5 პერსონალურს და თამაში თანაბარ რიტმში გადადის. თსუ-ს ერთქულიანი უპირატესობით თამაშის ბოლო წუთმა მოატანა და თითქოს ტექნიკოსებმაც გარდატეხა მოახდინეს. ქებული დაცვისა და მეტოქის უზუსტობის წყალობით დავით ბერიშვილმა 20 წამში 4 საჯარიმო ჩაგდო და სირენამდე 30 წამით ადრე სტუ 95:92 დააწინაურა. თსუ-მ იმდენი მოახერხა, რომ ანგარიში გაათანაბრა, მეტოქეს შეტევაც ჩაუშალა და გადამწყვეტი სროლის დროც დარჩა. ამაში ლომის წილი მიშა ფანჩულიძემ დაიდო, ვინც უმნიშვნელოვანესი სამქულიანი გაშანსა, თუმც მის ბოლო წამზე ნასროლს ერთბაშად ორი სტუ-ელი გადაეღობა — ოვერტაიმი.

დამატებითი დრო იმისაა, რომ იქ ძირითადად ფავორიტად მიჩნეული გუნდი ამარცხებს, რაკი „ბიმტრეტმა" მეტი აუკრა და გამოცდილი მოთამაშეებიც ექსტრემალურ სიტუაციაში უფრო სანდონი არიან. პირიქით კი მოხდა. ლომის მეორე შემადგენლობით დარჩენილმა თსუ-მ არაფერი არ დაუთმო პრინციპულ მეტოქეს, შესაშურად ითამაშა დაცვაში და იმავ ფანჩულიძისა და გიორგი მარხვაშვილის ჩაუქობის წყალობით საარაკო გამარჯვებას მიაღწია.

24 თებერვალი. ვერის ბაღი
თსუ 105:101 სტუ
21:20 21:27 31:29 22:19 10:6
ძირითადი დრო 95:95

თსუ: ვეფხვაძე (8), მაისურაძე (28), ბაქრაძე (2), ფანჩულიძე (18), კოკლიშვილი (15); მარხვაშვილი (10), ბერაია (9), გაფრინდაშვილი (7), მ. ბერიშვილი (6), სანიკიძე (2)

სტუ: დ. ბერიშვილი (7), გოგობერიშვილი (20), მარკოიშვილი (11), შანიძე (33), ჯაფარიძე (7); გაგნიძე (9), მათიაშვილი (8), კეიდია (6), კოხრეიძე

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

დინამო 102:55 სსუ
18:17 27:13 27:19 30:6

დინამო: გიორგობიანი (2), გამყრელიძე (4), დ. ბერიშვილი (27), კვიმსაძე (14), დერიუგინი (2), სუხიშვილი (9), ჩხატარაშვილი (7), ლაფანაშვილი (19), კოღუაშვილი (8)

სსუ: ჩიტაშვილი (5), იმედაშვილი (7), პატარაია (1), გასიტაშვილი, კორძაძე (8), ლ. ნოზაძე (4), ქვილითაია (11), ონიკაშვილი (7), გოლეთიანი (8), მ. ხოშტარია (4)

მსაჯები: ლიკა ქაჯაია, ხათუნა გაბედავა

კომისარი: როლანდ გელოვანი

24 თებერვალი. რუსთავი
თუჯი 86:88 ავიამშენი

23 თებერვალი. თელავი
ბურჯი 76:71 მაკაბი

დინამო	20	16	4	+446	36
ავიამშენი	19	16	3	+389	35
სტუ	19	16	3	+360	35
თსუ	20	11	9	-171	30
თუჯი	20	10	10	+102	30
მაკაბი	19	4	15	-401	23
ბურჯი	18	3	15	-294	21
სსუ	19	1	18	-653	20

სტუ-ელი რამაზ გოგობერიშვილი მიხეილ ფანჩულიძეს გაურბის

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ზაზას ორმაგი
ფაჩულიამ მილუოკის მოაგებინა

ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ ზაზა ფაჩულიას, ძალიან მოწადინებულსა და უდაოდ ნიჭიერ ახალგაზრდას, ადრე თუ გვიან თავისი ძალა უნდა დაემტკიცებინა. ზაზასნაირი პერსპექტიული ბევრი უნახავს ნბა-ს, მაგრამ ყველას როდი უთამაშია დიდი კალათბურთი. საქმე მხოლოდ ამ უძლიერეს ლიგაში მოხვედრა კი არა, არამედ იქ ადგილის დამკვიდრებაა, რასაც ფაჩულია მშვენივრად ახერხებს და აგერ, გუშინწინ ნბა-ში პირადი რეკორდიც დაამყარა.

ცალკეულად რომ ავიღოთ, არც 14 ქულაა ზაზას პირადი რეკორდი და არც 12 მოხსნა, თუმც ორივეს ერთად მოხვეჭილს ორმაგი დუბლი ჰქვია და სულ სხვა ელფერი აქვს. აქამდე ფაჩულია არაერთხელ ყოფილა თავისანთაგან ერთ-ერთი საუკეთესო, მაგრამ პირველად მოხდა, რომ თამაშის გმირად დაესახელებინოს ამერიკის ერთობ პრესტიჟულსა და კომპეტენტურ სპორტულ ვებ-გვერდ „სპორტსლაინს". ზაზამ ნბა-ური კარიერის პირველი ორმაგი დუბლი შეასრულა და ამით დაამტკიცა ის პროგრესი, რომელსაც იგი განიცდის.

ფაჩულიას „მილუოკ" „ნიუ ჯერსის" მასპინძლობდა და მატჩი ძალზე დაძაბული გამოვიდა, თუმც მხოლოდ საწყის სამ მეოთხედში. ზაზას სასტარტოში არ დაუწყია, ხუთეულში ცენტრის ადგილი ტრადიციულად დან გუძურიმა დაიკავა, მაგრამ უხეირო დებიუტის შემდეგ ის სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა, ფაჩულიას კი შანსი მიეცა, რომელიც ჩვენიანმა მშვენივრად გამოიყენა.

ქართველი ცენტრი მოედანზე პირველი მეოთხედის დასრულებამდე წუთით ადრე გამოჩნდა მან მოედანზე 31 წუთი დაჰყო. მან მნიშვნელოვნად გაუმაგრა „მილუოკის" ფარქვეშა პოზიციები და ბითუმი მოხსნებთან ერთად ქულებსაც ბლომად იმკიდა.

მთელი პირველი ტაიმი „ბაქსი" კუდში მისდევდა „ნეთსს" და დიდი შესვენების შემდეგ, როგორც იქნა, დაეწია. ფაჩულია საიმედოდ იდგა ფარქვეშ, ჯერსელთა ცენტრ ჯონ კოლინზს არ ახარებდა და დამსახურებულადაც გახდა მატჩის მთავარმომხსნელი. მილუოკელებმა მესამე მეოთხედის ახალდაწყებულზე ლიდერობა რომ დაიბეჭეს, მერე სტუმრები საოფეზე აღარ გაუკარებიათ.

გადამწყვეტი მეოთხედის წინ მილუოკელები 15 ქულას იგებდნენ და ზაზა ფაჩულიას მიჯრით მითვლილი 7 ქულის შემდეგ მასპინძელთა ყველაზე დიდი ლიდერობა დაფიქსირდა — 87:68. „მილუოკმ" ტემპი არ დაადო და საბოლოოდაც 19 ქულის სხვაობით გაიმარჯვა.

ნამატჩევს ზაზამ ასეთი ახსნა მოუნახა მის და სრულიად მილუოკელთა კარგ გარჯას:

„საოლსტარო შესვენებამ გვარგო, ბიჭები დასვენებულნი იყვნენ. მე პირადად კარგად დავისვენე, ენგერიით ვიყავი სავსე და მგონი ცუდად არ მითამაშია."

ზაზამ საოლსტარო უიქენდი მზიან ფლორიდაში, მისთვის „მშობლიურ" ორლანდოში გაატარა.

ეს მილუოკელთა უკვე მეორე მოგებაა ოლ სტარის შემდეგ და „ბაქსის" ხელმძღვანელობას საპლეიოფო იმედებიც გაუჩნდა, მით უფრო, რომ ახალწვეული ზაზა ფაჩულია თამაშის იშტაზეა და უკვე ლამის პირადად აგებინებს თავის გუნდს თამაშებს. „ნიუ ჯერსისთან" ზაზა მატჩის საუკეთესო მომხსნელი გახდა და თავისიანთა ბომბარდირ დესმონდ მეისონის შედეგამდე კინკილა ქულა დააკლდა.

წარმატებით თამაშობს მეორე ქართველის გუნდი „დენვერიც". კოლორადოელებმა ამჯერად „ბოსტონ სელტიკ" დამარცხეს, მაგრამ ჩვენ ამით რა ხეირი, ნიკოლოზ ცქიტიშვილის მოედანზე შვიდწუთიანი გამოჩენა თითქმის უშედეგოდ დასრულდა 2002 წლის დრაფტის მეხუთე ნომერმა ცქიტიშვილმა მხოლოდ ქულა მოიმკა ბოსტონელებთან, ისიც მაშინ მიეცა თამაშის შანსი, როცა მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო.

ირაკლი პერტაია

23 თებერვალი

დენვერი 107:86 ბოსტონი

დენვერი: მილერი (22), ჯონსონი (14), ენტონი (19), მარტინი (18), კემბი (6); ელსონი (8), ბოიკინსი (8), ვაიტი (8), რასელი (3), ცქიტიშვილი (7 წუთი, 1 ქულა, 2 მოხსნა), პოუპი

ბოსტონი: ალენი (12), პეიტონი (9), პირსი (16), ლაფრენცი (5), ბლუნტი (4); ვესტი (17), დევისი (12), ჯეფერსონი (9), პერკინსი (2)

მილუოკი 100:81 ნიუ ჯერსი

მილუოკი: უილიამსი (13), რედი (11), მეისონი (15), ჯო სმიტი (10), გაძურიჩი (1); ფაჩულია (31 წუთი, 14 ქულა, 12 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა), ჯეიმსი (11), კუკოჩი (8), ვან ჰორნი (7), ჰამილტონი (5), ფიზერი (2), სტრიკლენდი (3)

ნიუ ჯერსი: კიდი (11), კარტერი (26), ვონი (4), ჯაბარი სმიტი (6), კოლინზი (6 ქულა, 11 მოხსნა); რობინსონი (10), მერსერი (7), ტომასი (5), ბესტი (5), პლანინიჩი (2), კემბელი

იუტა 83:101 დალასი

დალასი: ნოვიცკი (29), ფინლი (24)

იუტა: ბელი (16)

სან ანტონიო 99:81 ჰიუსტონი

სან ანტონიო: დანკანი (30)

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (22), მინგი (20)

კლივლენდი 100:91 ჩიკაგო

კლივლენდი: ილგაუსკასი (33), ჯეიმსი (27)

ჩიკაგო: გორდონი (21), ჰაინრიხი (13)

გოლდენ სტეიტი 101:96 ატლანტა

გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (31)

ატლანტა: უოლკერი (27)

ფინიქსი 118:101 კლიპერსი

ფინიქსი: ჯონსონი (22), ბარბოსა (22)

კლიპერსი: საიმონსი (23), მეჯიტი (20)

ინდიანა 93:91 მაიამი

ინდიანა: ჯ. ონილი (29), მილერი (23)

მაიამი: ვეიდი (38), ჯონსი (17)

ვაშინგტონი 93:83 მემფისი

ვაშინგტონი: მილერი (16)

მემფისი: არენასი (30), ჯემისონი (27)

პორტლენდი 83:86 ლეიკერსი

პორტლენდი: სტუდემაიერი (25), აბდურ-რაჰიმი (16)

ლეიკერსი: ბრაიანტი (31), ბრაუნი (11)

ვაკის აუზში საპეკინოდ ხტებიან

სალომე ჯუღელი

ჭოლა ჭანტურია

თათია ლორთქიფანიძე

გიორგი ჩოგოვაძე

ვაკეში საპეკინო ფრთები იშლება

სპორტის იმ სახეობათა წარმომადგენლებს შორის, რომლებიც პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის ლიცენზიის მოპოვების რეალურად ფიქრობენ და არა ოცნებით, ჩვენი წყალში მხტომელებიც არიან. ოდინდელი გამარჯვებების მერე ფინანსური გაჭირვებისა და სათანადო პირობების უქონლობის მიუხედავად, დიდი ენთუზიაზმისა და მონდომების ხარჯზე საქართველოს ნორჩმა წყალში მხტომელებმა მრავალ საერთაშორისო ტურნირში მიაღწიეს წარმატებას და მედლებით დამშვენებულნი დაბრუნდნენ. მას შემდეგ, რაც საქართველოში მომხდარი ძირეული ცვლილებების შემდეგ მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა, ამ სახეობის წარმომადგენლებმა უფრო დიდი მიზნები დაისახეს

დიდ მიზანთაგან უმთავრესი პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრა. ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ საქართველს წყალში მხტომელთა მთავარ მწვრთნელს ალექსანდრე ბართაიას, რომელიც თავის შვილ ირაკლისთან ერთად ამ სახეობაში ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გიორგი ჩოგოვაძის დახმარებით ავარჯიშებს სპორტსმენებს.

— უამრავი მედალი და საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვება სასიამოვნოა, მაგრამ ამ ახალგაზრდების ძალა, რომელთაც თქვენ პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიის მოსაპოვებლად ამზადებთ, ჯერ ევროპის პირველობაზე უნდა გამოჩნდეს, სადაც მრავალი წელია, რაც წარმატება არ გვქონია.

— წლევანდელ ევროპის პირველობას 10-დან 14 აგვისტოს ჩათვლით რუსეთის ქალაქი ელექტროსტალი უმასპინძლებს. მასში ჩვენი სპორტსმენები უთუოდ გამოვლენ. ვფიქრობთ, რომ იქ ჩვენი გუნდის ლიდერების ჭოლა ჭანტურიას, გეორქ გევორქიანის და ვიტალი მამნიაშვილის გარდა ახალგაზრდა წყალში მხტომელები შოთა კორახაშვილი და სალომე ჯუღელიც გამოვლენ. ჩვენ ოპტიმისტურად ვართ განწყობილი და გვჯერა, რომ ისინი თავს არ შეირცხვენენ. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის წარმატებები, რომლებსაც ამ ახალგაზრდებმა ოთხი-ხუთი წლით უფროს სპორტსმენებთან ჭიდილში არაერთხელ მიაღწიეს.

ახლა მთავარია, რომ დაფინანსების მხრივ არ შეგვექმნას პრობლემები.

— მაგრამ, ევროპის პირველობამდე საკმაოდ დიდი დროა. მანამდე ალბათ სხვა საერთაშორისო ტურნირებში გამოსვლასაც აპირებთ.

— ჩვენ უკვე გვაქვს მიწვევები ესპანეთის, გერმანიის, ბელარუსიისა და ჩეხეთის საერთაშორისო ტურნირებში. აქედან პირველი, სადაც ჩვენ გავემგზავრებით, ესპანეთის ქალაქი ლას პალმასია, რომელიც აპრილში უმასპინძლებს საერთაშორისო ტურნირს. მონაწილეობას მივიღებთ ასევე სხვა შეჯიბრებებში, რაც სამომავლოდ ძალიან წაგვადგება.

— ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ თქვენი მთავარი მიზანი მაინც პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოპოვებას უკავშირდება. რამდენად რეალურია, რომ ქართველმა წყალში მხტომელებმა პეკინში იასპარეზონ?

— პეკინის ოლიმპიადაზე მოხვედრა საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციაში არჩევნების ჩატარებისა და ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ დავისახეთ მიზნად. საამისოდ პროგრამა ჩამოვაყალიბეთ და თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით განხორციელდა, სრულიად რეალურია, რომ პეკინის ოლიმპიადაზე ქართველი წყალში მხტომელებიც გამოვიდნენ. დარწმუნებულნი ვართ, რომ ერთი წყალში მხტომელი მაინც მოიპოვებს ლიცენზიას.

— მაინც, „ვისი უფრო გეიმედებათ?

— ესენი არიან ჭოლა ჭანტურია, ვიტალი მამნიაშვილი, გეორქ გევორქიანი... მათ საერთაშორისო ტურნირებში გამოსვლის საკმაო გამოცდილება დაუგროვდათ, სადაც ხშირად გაცილებით უფროსებთან ერთად უწევთ ასპარეზობა. უშუალოდ ოლიმპიადაზე ჩვენ ნახევარფინალში მოხვედრას ვგეგმავთ, ხოლო მომდევნო თამაშებზე უფრო დიდი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ...

ამ საქმეში უთუოდ დაგვეხმარება ვაკის რაიონის საცურაო აუზი, რომელიც მრავალწლიანი „შესვენების“ შემდეგ, როგორც იქნა, ამოქმედდა და მშვენიერი ვარჯიშის პირობებიც შეგვექმნა. მეტიც, აქ იდეალური პირობები გვაქვს.

— საინტერესოა, რამდენად არიან დაინტერესებული ბავშვები, რომ აითვისონ ეს მართლაც საინტერესო და ლამაზი სახეობა?

— თავიდან საკმაოდ ძნელი იყო ამის გაკეთება, რადგან საქართველოში არ არსებობდა ნორმალური სავარჯიშო პირობები, მაგრამ საბედნიეროდ ვითარება გამოსწორდა. სამწუხაროდ, ეს ჯერ მხოლოდ თბილისზე ითქმის, სადაც სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ოცი ბავშვი ვარჯიშობს. რა თქმა უნდა, ეს საკმარისი არ არის და სასურველია, რომ მეტი ბავშვი ვარჯიშობდეს, თუმცა, ვფიქრობ, რომ ხარისხიანი მუშაობის თვალსაზრისით სამი მწვრთნელისთვის მეტის გაკეთება შეუძლებელია.

მამა-შვილი ალექსანდრე და ირაკლი ბართაიები



თეონა ყაჭეიშვილი

სოფიკო ხუციშვილი

ლეონა მაისურაძე
ბადრი კეთილაძის ფოტოები

ავსტრიული სასამართლო ქართველ მოთამაშეს ჩვენების მისაცემად იბარებს



ვენის მახლობლად მდებარე ქალაქ კორნიბურგის სასამართლომ ქართველი მეჩოგნე ირაკლი ლაბაძე ფიცის ქვეშ ჩვენების მისაცემად დაიბარა. საქმე შარშან ზანკტ პიოლტენურ REIFFESEN GRAN PRIX-ის პირველ წრეში ლაბაძესა და ავსტრიელ ჯულიან ნოულის მატჩს ეხება, რომელიც თითქოსდა ჩაწყობილის შთაბეჭდილებას სტოვებდა.

ნოულმა, რომელიც იმ ტურნირზე განუთესავი იყო და საერთოდ უფრო წყვილთა სპეციალისტად ითვლება, მეოთხე ნომრად განთესილ ლაბაძეს 7:5 4:6 6:2 მოუგო.

მავანმა მარტინ ფიურერმა კორნიბურგული ტოტალიზატორის „კეშპოინტის" წინაალმდეგ სარჩელი შეიტანა იმის გამო, რომ ტოტალიზატორმა მას არ გადაუხადა ლაბაძის წაგებაზე დადებული ფსონით მოგებული 23 ათასი დოლარი.

„ეს ჩემი ერთი ყველაზე საუკეთესო მატჩი იყო 2004 წელს და ამის დადასტურება შეუძლია ყველას, ვინც კი ის იხილა — ამბობს ნოული — სხვა ყველაფრის მტკიცება უაზრობაა."

„კეშპოინტი" ამტკიცებს, რომ ფიურერი ესაუბრა ლაბაძეს მატჩამდე 2004 წლის 17 მაისს.

„ჩვენ გვაქვს მტკიცებულება, რომლის თანახმადაც ბატონმა ფიურერმა იცოდა, რომ ლაბაძეს უნდა წაეგო — თქვა „კეშპოინტის" წარმომადგენელმა მიხაელ ვონდრამ — ასეთ ვითარებაში კი ჩვენ ნაძლევის მიღებაზე უარს ვაცხადებთ."

ლაბაძის აგენტი შტეფან ვექსელბერგი ამ ბრალდებებს უარყოფს.

„ირაკლის გაცილებით მეტი ფულის შოვნა შეეძლო ზანკტ პიოლტენში ორი ან სამი წრის მოგებით — ამბობს ის — ეს ბრალდებები სრული ნონსენსია."

„აბსოლუტურ ნონსენსს" უწოდებს „კეშპოინტის" მტკიცებებს ფიურერის ადვოკატი ტომას ფრიდიც.

„მტკიცება, თითქოს ჩემს კლიენტსა და მოთამაშეს შორის რამე შეთანხმება არსებობდა, მტკნარი სიცრუეა" — ამბობს ფრიდი.

კორნიბურგის მოსამართლე მარტინა მორმა თქვა, რომ მან ოთხშაბათს უწყება გაუგზავნა ლაბაძეს და მას 15 ივნისს გასამართ სხდომაზე დასწრება სთხოვა.

„ჩვენ ბატონ ლაბაძეს სასამართლო უწყება გავუგზავნეთ" — თქვა მან.

ზანკტპიოლტენური ტურნირის ორგანიზატორებმა კომენტარის გაკეთება არ ისურვეს.

ეიტიპის საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილების დირექტორ ნიკოლა არძანის თქმით, ეიტიპი სასამართლო პროცესის შესახებ ინფორმირებული არ არის.

ჰარი მილტნერი
ASSOCIATED PRESS

ზეციური მადლით აღვსილნი

დუბაის ვაჭთა ღია პირველობა
მაგარსაფარი
საპრიზო 975 ათასი $

პირველი წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — **ივო მინარი** (ჩეხეთი) 6:7 (5:7) 6:3 7:6 (7:5); **ივან ლიუბიჩიჩი** (8, ხორვატია) — **ჟან-რენე ლინარი** (საფრანგეთი) 6:1 6:1

მეორე წრე

ანდრე აგასი (4, აშშ) — **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) 6:1 6:3; **ტომი რობრედო** (5, ესპანეთი) — **ტომაშ ბერდიხი** (ჩეხეთი) 6:2 6:4; **ნიკოლა დავიდენკო** (6, რუსეთი) — **დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი) 7:5 6:3

წინა დღეს დუბაურ ცათაკორტზე ნაბუქნავები როჯერ ფედერერი და ანდრე აგასი მიწას ზეციური მადლით აღვსილნი დაუბრუნდნენ და მომდევნო წრეებში გაიკაკეს. ოღონდაც, თუკი შებერებულმა არმენოამერიკელმა ეს ამბავი შეუდარებლად იოლად გაახერხა, ამქრის პირველოსანს კაი ძალი ბუღრაობა გადახდა ჩეხ კვალიფიკანტ ივო მინართან, ვისაც კარიერაში მხოლოდ ხუთი საეიტიპიო მატჩი მოუგია.

ჰო, დღეს საუკეთესოდ ნაღდად ვერ გავისარჯეო, იძახდა ნამატჩევს ფედერერი და მერე დასძენდა, ასეთი მძიმე შეხვედრების მოგება ყოველთვის მაგრად ასწორებს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ აქ როტერდამიდან ჩამოვფრინდი და განსხვავებულ გარემოსთან ადაპტაცია მომიხდაო.

საგანგებოდ მათთვის, წინა კვირაში საჩოგბურთო ამბავთა თვალისდევნებას სხვა რამ საქმიანობით დაკავება რომ არჩია, მოვიგონებთ, რომ როტერდამობაზე ფედერერმა კარიერის 24-ე ტიტული მიითვალა და დუბაიში შარშან ნაშოვნის ხელახლა საშოვნელად დიაღ ჩინებულ გუნებაზე ჩავიდა.

რაც შეეხება აგასის, ცაცია ლოპესთან თამაშის წინ მან იმდენი იფიქრა მეტოქის გლავჯუნა ხელწაღმებზე, რომ, პირველი გათამაშებიდანვე მატჩის სადავეები მობოჭა და ლოპესისთვის ბოლომდე არ მიუცია გამოღმა გადავების ფიორა შანსიც.

მექსიკის ღია პირველობა
აკაპულკო. თიხნარი
საპრიზო 618 ათასი $

მეორე წრე

მარიანო პუერტა (არგენტინა) — **კარლოს მოია** (1, ესპანეთი) 4:6 6:4 6:4; **გილერმო კანასი** (3, არგენტინა) — **ნიკოლა დევილდე** (საფრანგეთი) 6:0 7:5; **ირჟი ნოვაკი** (5, ჩეხეთი) — **ოსკარ ერნანდესი** (ესპანეთი) 6:3 6:1; **ფილიპო ვოლანდრი** (6, იტალია) — **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) 7:6 (7:5) 7:5; **ფელიჰს მანტია** (ესპანეთი) — **დავიდ ფერერი** (7, ესპანეთი) 7:5 6:2; **რაფაელ ნადალი** (8, ესპანეთი) — **სანტიაგო ვენტურა** (ესპანეთი) 7:6 (7:0) 6:2; **აგუსტინ კალიერი** (არგენტინა) — **ხუან მონაკო** (არგენტინა) 7:6 (7:4) 6:2

TENNIS CHANNEL OPEL
სკოტსდეილი. მაგარსაფარი
საპრიზო 355 ათასი $

მეორე წრე

მარიო ანჩიჩი (3, ხორვატია) — **მარკ ფილიპუსისი** (ავსტრალია) 6:1 7:6 (7:3); **ჯოვანი ლაპენტი** (ეკვადორი) — **ირაკლი ლაბაძე** (6, საქართველო) 6:2 6:2; **გლენ ვაინერი** (აშშ) — **ლარს ბურგსმიულერი** (8, გერმანია) 6:4 6:4

პირველი წრეში 18 წლის ამერიკელ ალექს კუზნეცოვის მძლეველმა ირაკლი ლაბაძემ მეორეში ვერაფერი მოუხერხა უსახელო ეკვადორელ ჯოვანი ლაპენტის, ვისაც ამ კვირამდე მხოლოდ ერთი საეიტიპიო მატჩი მოეგო (ორი წლისწინანდელ სკოტსდეილობაზე პარადორნ შრიჩაფანთან).

QATAR TOTAL OPEN
დოჰა. მაგარსაფარი
საპრიზო 600 ათასი $

მეორე წრე

ამელი მორეზმო (1, საფრანგეთი) — **ანა ივანოვიჩი** (სერბეთი) 2:6 6:2 6:4; **მარია შარაპოვა** (2, რუსეთი) — **ხისელა დულკო** (არგენტინა) 6:1 6:1; **კონჩიტა მარტინესი** (ესპანეთი) — **ანასტასია მისკინა** (3, რუსეთი) 6:4 7:5; **ალიშა მოლიკი** (4, ავსტრალია) — **ნიკოლ პრატი** (ავსტრალია) 6:3 6:2; **მარია კირილენკო** (რუსეთი) — **პატი შნიდერი** (5, შვეიცარია) 6:0 1:6 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკეთი) — **ელენა ბოვინა** (6, რუსეთი) 6:0 3:6 6:3

კონჩიტა მარტინესი

შარშანდელი როლანგაროსობის ჩემპიონ ანასტასია მისკინას ოცნებას, წლეულს ზედიზედ მესამედ ეპირველა ყატარის ღია პირველობაზე, ჩოგანი 32 წლის ესპანელმა ბერდედა კონჩიტა მარტინესმა დაუსვა. 1994 წლის უიმბოლდონის ჩემპიონმა მთელი შეხვედრა საოცარი თავდაჯერებითა და ოდინდელი აღმაფრენით ჩაატარა, ხოლო რუსგოგომ უამრავჯერ და თანაც გადამწყვეტ მომენტებში მიჰქარა.

ლევან კელაურაძე

ნიამორი და მისი თანამდგომნი

იანვარში დაწყებული სამთო, სათავგადასავლო და ექსტრემალური სტალევიზიო ფილმების მეორე საერთაშორისო ფესტივალ „ნიამორის" დახურვამდე ერთი კვირაღა რჩება, თუმც ყველაზე დატვირთული და საინტერესო სწორედ ეს ბოლო დღეები იქნება. გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში" ფესტივალის ორგანიზატორებმა დარჩენილი პროგრამის გასახმაურებლად პრესკონფერენცია მოაწყვეს.

„ფოტოგამოფენა „ამოუცნობი და ექსტრემალური სამყარო" უკან მოვიტოვეთ და ახლა ყველაზე დაძაბული დღეებისთვის ვემზადებით — თქვა ფესტივალის დირექტორმა თამუნა ჯიშკარიანმა — ფოტოგამოფენას ეროვნულმა ბიბლიოთეკამ უმასპინძლა და მასში 30 ავტორის 150-მედ ფოტონამუშევარს გაეცნო დამთვალიერებელი. რაც შეეხება ფილმებს, მათი ჩვენება 25-28 თებერვალს კინოთეატრ „რუსთაველის" მცირე დარბაზში საღამოს ექვს საათზე შედგება და ბილეთი სამი ლარი ეღირება".

ფესტივალისადმი მიძღვნილ პირველ პრესკონფერენციაზეც ითქვა ერთი თვის წინ, რომ ოცამდე ფილმი ექვს ნომინაციაში გადანაწილდებოდა ამასთან, ყველა ნომინაციის გამარჯვებულს ცალ-ცალკე ჟიური გამოავლენდა, გუშინ კი ჯიშკარიანმა ორი ნომინაციის ამოვარდნის შესახებ გვამცნო — ნომინაცია „მაშველებში" არც ერთი ფილმი არ შემოვიდა. იტალიელებს კი ჰქონდათ ამის სურვილი, მაგრამ, როგორც შეგვატყობინეს, ლიცენზიის აღება ვერ მოასწრეს, ხოლო ნომინაცია „ექსტრემში" მხოლოდ ერთი ფილმი გამოჩნდა და მას, უბრალოდ, კონკურსგარეშე გავუშვებთ. დანარჩენ ოთხ ნომინაციაში ყველაფერი კარგადაა. ქართველ ავტორებს და რეჟისორებს იტალიელებთან შვეიცარიელებთან მოუწევთ „ბრძოლა".

წლევანდელ ფესტივალს მთელი რიგი მხარდამჭერი სპორტული შეჯიბრებაც ახლავს. 27 თებერვალს გუდაურში მოყვარულ სნოუბორდისტთა შეჯიბრი გაიმართება და მასში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეეძლება, 2 მარტს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელოვნურ კლდეს მეკლდეურები შეესევიან, ხოლო მარტის შუა რიცხვებში ახალგაზრდა მთამსვლელები ფესტივალის დროშას ყაზბეგის რაიონში, მყინვარწვერზე აიტანენ.

თამუნა ჯიშკარიანმა ესეც გვითხრა:

„სპორტული შეჯიბრებები შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტომ დააფინანსა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით. მადლობა ყველა სპონსორს, ვინც „ნიამორს" გვერდით დაუდგა. ფესტივალი საქართველოს მთიანეთში ტურიზმის, სპორტის სამთო და ესქტრემალური სახეობების და დოკუმენტური ფილმების განვითარებას ისახავს მიზნად და იმედია, შემდეგი „ნიამორი" ბევრად უფრო პოპულარული და სრულყოფილი გახდება".

ოთარ გალლაკელიძე

ზე-თორმეტი უფრო მეტი

ისეთი უქმეები დგება, რაგბის მოყვარულებს მოსაწყენად ნაღდად არ ეცლებათ. ხვალ და ზეგ 6 ერის თასზე მორიგი ტური იმართება. ხვალვე ჩვენი ეროვნული ნაკრები უკრაინას მასპინძლობს, დღეს კი სამხრეთ ნახევარსფეროს 12 უძლიერესი კლუბი იქაურ ზე-12-ს გათამაშებაში ჩაერთვება.

ეს სეზონი ზე-თორმეტისთვის უკასკნელია, რადგან მომავალი წლიდან გუნდების რაოდენობა იზრდება და მასში 14 კლუბი მიიღებს მონაწილეობას. შეჯიბრება სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება და არცაა გასაკვირი, რომ გულშემატკივარი მატჩების რაოდენობის გაზრდას ითხოვს.

1986 წლიდან მოყოლებული, ტურნირმა უკვე სამჯერ შეიცვალა ფორმატი. 1992 წელს გუნდების რაოდენობა 6 გახდა. ეს ერთადერთი ასპარეზი იყო, რომელშიც ექვსი გუნდი მონაწილეობდა, უკვე მომდევნო წელს გუნდების რაოდენობა ათამდე გაზარდეს. სამჯერ ჩატარდა გათამაშება ასეთი ფორმატით და ბოლოს, 1996 წელს, მონაწილეთა რაოდენობამ 12-ს უწია. აქედან იწყება თანამედროვე ზე-12-ის ისტორია, რომელიც წლეულს მეათედ და უკანასკნელად გაიმართება.

12 გუნდიდან 3 ავსტრალიურია — „ქუინსლენდ რედსი", „ეი-სი-ტი ბრამბისი" და ახალი სამხრეთ უელსის „ვარატასი". ახალ ზელანდიას ყველაზე მეტი, 5 წარმომადგენელი ჰყავს — ოტაგოს „ჰაილენდერსი", ოკლენდის „ბლიუზი", კენტერბერის „ქრუსეიდერსი", ვაიკატოს „ჩიფსი" და ველინგტონური „ჰურიკეინსი". ყველაზე მეტჯერ სწორედ ზელანდიელებს უხეირიათ ზე-12-ის ისტორიაში. გათამაშებიდან მათ ბარე 7 მოიგეს, აქედან ოთხჯერ წარმატებას კენტერბერულმა კლუბმა უწია. 1998-2000 წლებში მათ ბადალი არ ჰყავდათ, ერთხელაც 2002 წელს გაიმარჯვეს. დანარჩენი 2 შემთხვევაში ავსტრალიელებმა გაიხარეს. 2001 და 2004 წლებში თასი „ბრამბისს" ერგო.

სამხრეთაფრიკული კლუბები ზე-12-ის ამბავში დაჩაგრულები არიან და ჯერ ტიტული არ რგებიათ, ამიტომ წლევანდელ, ბოლო გათამაშებაში ალბათ განსაკუთრებულად შეეცდებიან წარმატებას.

აფრიკის ყველაზე თეთრ სახელმწიფოს გათამაშებაში 4 კლუბი წარმოადგენს. ესენია — „შარქსი", „სტორმერსი", „ქეთსი" და ჩვენთვის კარგად ნაცნობი პრეტორიული „ბულზი".

გაისიდან კი ტურნირს 2 გუნდი ემატება. ერთ-ერთი მათგანი სამხრეთაფრიკული იქნება, მეორე კი ავსტრალიური.

წლევანდელი გათამაშების პირველი ტური ორ ნაწილადაა გაყოფილი. სამი თამაში დღეს იქნება, დანარჩენი სამი შეხვედრა კი ხვალ.

დღეს 2 დერბი გაიმართება. ახალზელანდიური „ჰაილენდერსი" დუნედინში თანამემამულეთა კლუბ „ბლიუზს" უმასპინძლებს. სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქ კეიპტაუნში კი „სტორმერსი" შეეცდება „შარქსი" დაამარცხოს. ესეც მეორე დერბი, ამ თამაშებს შორის კი ავსტრალიურ-ახალზელანდიური დაპირისპირება გველის. სიდნეიში „ვარატასმა" ზელანდიური „ჩიფსი" უნდა მიიღოს.

ავსტრალიურ-ზელანდიური დაპირისპირება ხვალ გაგრძელდება და კიდევ ორ შეხვედრაში აისახება. ორივე შემთხვევაში მასპინძლები ავსტრალიელები იქნებიან. კანბერაში „ბრამბისი" ყველაზე ტიტულიან ზელანდიურ კლუბ „ქრუსეიდერსს" უმასპინძლებს, ბრისბეინში კი „რედსი" ველინგტონურ „ჰურიკეინს" დაუხვდება, ბოლო მატჩი ისევ სამხრეთაფრიკული დერბია. იოჰანესბურგში „ქეთსი" პრეტორიულ „ბულსს" მიიღებს.

ლადო ფულუკიძე

14-წლიანებმა ქართული მედლები დაინაწილეს

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი 14-წლამდელ მოჭადრაკეთა შორის. ვაჟთა ჩემპიონატში, სადაც 80 მოზარდი მონაწილეობდა, პირველი ადგილი დავით ბენიძემ დაიკავა, მეორეობა კი ლევან ბრეგვაძეს ხვდა წილად.

ოქროს მედალოსანი ბენიძე მსოფლიოს ჩემპიონატზე გაემგზავრება, რომელიც 18-31 ივლისს საფრანგეთის ქალაქ ბელფორტში გაიმართება. ვერცხლის მედალოსანი ბრეგაძე კი ბოსნიის ქალაქ ბუდვაში დაგეგმილ ევროპის ჩემპიონატში იასპარეზებს.

გოგონებში პირველი ადგილი სოფიო გურამიშვილმა მოიპოვა, ხოლო მეორე ნაზი პაიკიძე იყო. ორივე პრიზიორი გოგონა შესაბამისად მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრება.

სოფიო გურამიშვილი

ტუსაღ ფიშერს ევროპაში კარი გაუღეს

ისლანდიის საემიგრაციო სამსახურმა გადაწყვიტა, იაპონიის ციხიდან გამოიხსნას სკანდალებით ცნობილი დიდოსტატი ბობი ფიშერი და ტუსაღს უცხოელი მოქალაქეებისთვის განკუთვნილი სპეციალური პასპორტი გაუკეთა.

გასულ კვირას ისლანდიის პარლამენტმა უარი თქვა ფიშერისთვის მოქალაქეობის მიცემაზე, თუმც შემდეგ დიდოსტატის მხარდამჭერები დატრიალდნენ და მისთვის „უცხოელის პასპორტის" მიცემის უფლება მოიპოვეს. დოკუმენტი უკვე გაიგზავნა იაპონიაში და ამიერიდან ფიშერს საშუალება ექნება, 15 ევროპულ ქვეყანაში იმოგზაუროს, თუმც აშშ-ში ვერ მოხვდება. თუ „უცხოურმა პასპორტმა" ფიშერს ვერ უშველა, მისი გულშემატკივრები მზად არიან დიდოსტატის გამო აპრილში კვლავ მიმართონ ისლანდიის პარლამენტს, რათა გონიერ ტუსაღს მოქალაქეობა მისცენ.

შეგახსენებთ, რომ აშშ-მა 61 წლის ფიშერზე ნადირობა 1992 წელს გამოაცხადა. 13 წლის წინათ, როცა იუგოსლავიის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები მიიღეს, დიდოსტატი ბელგრადს ეწვია და ძველ მეტოქესთან, ბორის სპასკისთან გამართა მარტჩი. ამ შეხვედრის გამო ფიშერმა 3 მილიონი დოლარი მიიღო და კანონის დარღვევისთვის მასზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა. დიდოსტატი ზაფხულში ტოკიოს აეროპორტში დააკავეს, როცა ვადაგასული პასპორტით ფილიპინებზე აპირებდა გაქცევას. იაპონიაში ყოფნისას ფიშერი ცდილობდა, ექორწინა ადგილობრივი ჭადრაკის ასოციაციის თავმჯდომარე მიიკო ვატაიზე და ამით იაპონიის მოქალაქეობა მოეპოვებინა. თუმც მას ქორწილზე უარი უთხრეს და საერთოდ პოლიტიკური თავშესაფარიც არ მისცეს.

თუ აშშ ფიშერის დაბრუნებაზე უარს იტყვის, იაპონია მზადაა, იგი სხვა, მესამე ქვეყანაში გაუშვას. აშშ-ში დეპორტაციის შემთხვევაში კი მოჭადრაკეს 10-წლიანი ციხე და დიდი ჯარიმა ელის.

ცნობისთვის, გასულ კვირას ფიშერის დაცვა ფიდემაც სცადა და აშშ-ის პრეზიდენტს წერილი მისწერა. „ფიშერი გენიალური მოჭადრაკეა და ეს საქმე უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ" — განაცხადა ფიდეს თავკაცმა კირსან ილუმჟინოვმა.

ლაშა გეგეჭკორი

ლინარესის სუპერტურნირი

ესპანეთი. 22 თებერვალი - 10 მარტი

I ტური

პეტერ ლეკო (უნგრეთი) — გარი კასპაროვი (რუსეთი) 0,5:0,5
რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) — ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი) 0,5:0,5
ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — მაიკლ ადამსი (ინგლისი) 1:0
ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — დაისვენა

ტოპალოვმა ლინარესში ვეიკ ან ზეე შემოაბრუნა

ლინარესის სუპერტურნირი ბულგარელმა ვესელინ ტოპალოვმა მოგებით დაიწყო და ცხრილს მარტოდმარტო უდგას სათავეში. პირველობა სლავმა დიდოსტატმა ინგლისელი მაიკლ ადამსის ძლევით მოიპოვა და თან ალბიონელს რევანშიც აუღო. შეგახსენებთ, რომ ადამსმა ტოპალოვს ერთი თვის წინ ვეიკ ან ზეეში მოუგო და ფავორიტად შერაცხულ ბულგარელს სუპერტურნირის მოგების შანსი დაკარგვინა.

პარტია ტოპალოვმა ლაზიერის ფლანგიდან დაიწყო და წინ მხედარი პაიკებთან ერთად გაუშვა. ადამსი აქტიურად ჩაერთო თამაშში, ბულგარელის გამოყრილ ფიგურებს ბდღვირი ადინა, ხარისხით გავიდა წინ და ახალი იერიშებისთვის მზადებას შეუღგა. ტოპალოვი საშინლად გააღიზიანა ინგლისელის აგრესიულმა შემოტევამ, საპასუხო დარტყმა მიაყენა ალბიონელს და ხარისხი მალევე დაიბრუნა. ახლა ადამიანი-ობობა გაცეცხლდა, 23-ე სვლაზე h3 ხაზზე შეუხტა ბულგარელის მეფეს და თავისებურად რაღაც მზაკვრული საქმის მომზადება დაიწყო. ტოპალოვი მიხვდა ალბიონელის ზრახვებს, დაცვაში ყურადღება გაამახვილა, ადამსის ფიგურები თავის ხელმწიფესთან ახლოს არ მიუშვა, შემოჭრილ ლაზიერს კი ალყა დაარტყა და გეზი შავი მეფისკენ აიღო. გამომწყვდეულმა შავმა დედოფალმა თავის გათავისუფლება სცადა, ამასობაში კი ტოპალოვმა დრო იხელთა, შავ ხელმწიფეს დიდი ძალებით მიაწვა და 41-ე სვლაზე შამათი გამოუცხადა.

საინტერესო იყო ფიდეს რეიტინგის ლიდერების, გარი კასპაროვისა და პეტერ ლეკოს შეხვედრაც.

კასპაროვმა მადიართან შეხვედრაში სიცილიური დაცვა არჩია და მესამე სვლაზე პაიკი გაუცვალა მეტოქეს. საწყის სვლებში უპირატესობას უნგრელი დაეუფლა, წინა ხაზზე მსუბუქი ფიგურებით გამაგრდა და რუსის შევიწროებას შეუდგა. მე-10 სვლაზე კასპაროვი ლაზიერის ფლანგიდან მხედრით გაიჭრა წინ, ლეკოს კუს თავი მოაკვლევინა და ფლანგი თავის სასარგებლოდ გაათავისუფლა. მსოფლიოს მე-13 ჩემპიონი იერიშებს შეუდგა, მე-16 სვლაზე კუთი h4 უჯრაზე მდგარი პაიკი მოკლა და ხარისხით დაწინაურდა. უპირატესობას თანდათან კასპაროვი დაეუფლა, თუმც სათამაშო დრო საკმაოდ შემოეხარჯა და იძულებული გახდა, 26-ე სვლაზე ყაიმს დათანხმებულიყო.



ᲞᲔᲞᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲚᲘ

მადრიდში „პეპსის“ მორიგი სარეკლამო კამპანიაა გახურებული და მსოფლიო სასმელს კაცად დევიდ ბექემი ჰყავს. ბექზს მისი მესამე ვაჟისთვის მაისურაც კი აჩუქეს. თუმც, თანმხლები ბანოვანნიც არანაკლები სახელისანი არიან: ამერიკელი მომღერალი არტისტები ბიონს ნოულსი და ჯენიფერ ლოპესი. კაი კამპანია კი ჩანს, საკუთრივ „პეპსიც“ ასე არჩევს ხოლმე თავის სახეებს.



სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოძრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge